# აჭარა

გამოიცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№95 (25.119) 20 - 26 ოქტომბერი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 15-20 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 21 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

# აჭარაში ტელემედიცინისა და ტელემეთვალყურეობის სერვისები დაინერგება


მარიამ ხითარიშვილი 27 48 93


*ტელემედიცინისა და ტელემეთვალყურეობის სერვისების დანერგვის ინიციატივის ფარგლებში, მეანგინეკოლოგებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანქიძე და პროგრამის კოორდინატორები ესწრებოდნენ*

ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

„მხარეებმა ინფორმაცია გაცვალეს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გაეროს მოსახლეობის ფონდს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული სერვისების შესახებ, როგორებიცაა ანტენატალური მეთვალყურეობისა და ოჯახის დაგეგმვის მიმართულება, ჯანდაცვის სერვისების დისტანციურად მიწოდების ინოვაციური მიდგომა - ტელემედიცინისა და ტელემეთვალყურეობის სერვისების დანერგვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

საპილოტე პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია: ელექტრონული ჯანდაცვის მომსახურებათა გაფართოება ონლაინსპეციალისტთა „ქსელის" შექმნით, რომელიც საშუალებას მისცემს სოფლის, მუნიციპალიტეტის დონეზე ანტენატალური მეთვალყურეობის მიმართულებით სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს სამეანო-გინეკოლოგიური მიმართულებით ტელეკონსულტაცია გაუწიონ ორსულობის რთული შემთხვევების მქონე პაციენტებს, სამედიცინო მომსახურების ოპტიმიზაციისა და არასაჭირო პროცედურებისა და რისკების შემცირების მიზნით; ელექტრონული აპლიკაციის დანერგვა, განსაკუთრებით, სოფლის ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხარისხიან მომსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით; ონლაინრეგისტრაციის მოდულის დანერგვა, რომელიც წარმოადგენს ანტენატალური მეთვალყურეობის მიზნით განხორციელებული ვიზიტების რიგის მართვის ელექტრონულ სისტემას; ორსულთათვის ელექტრონული წიგნის შემუშავება და პოპულარიზაცია, ორსულობის მიმდინარეობის, შესაძლო გართულებებისა და ახალშობილთა მოვლის შესახებ; აჭარაში სამშობიარო სახლების, განყოფილებების ბაზაზე არსებული მშობელთა სკოლებისთვის სტანდარტიზებული ელექტრონული მოდულების დანერგვა; პარტნიორობის გაფართოების შესაძლებლობების კვლევა, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში, მათ შორის პროექტებისა, რომლებიც ემსახურება რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებზე დაფუძნებულ და ხარისხიან მომსახურებებზე შშმ ქალთა წვდომის ხელშეწყობას. პროგრამა ერთობლივად ხორციელდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, გაეროს მოსახლეობის ფონდის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით," - წერია მთავრობის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# მინისტრი – შუბანში


ოთარ ცინარიძე 599 85 21 14


*თითქმის ერთი წელი შუახევის მუნიციპალიტეტის შუბნის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი ექიმის გარეშე იყო დარჩენილი*

რამდენიმე თვის წინ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ აქ ექიმად დოქტორანტი მამუკა ღორჯომელაძე მოავლინა. იგი ჩვეული პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს. ამაზე კიდეც გაამახვილა ყურადღება აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ, როცა შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატ ფრიდონ ფუტკარაძესთან, მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძესა და აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორის მოადგილე ავთანდილ ფუტკარაძესთან ერთად შუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების წარმომადგენლებს შეხვდა.

ნინო ნიჟარაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ, მამუკა ღორჯომელაძემ, ავთანდილ ფუტკარაძემ, შუახევის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორმა ფიქრია ჯუმუშაძემ ისაუბრეს იმ პროგრამებზე, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

რამდენიმე თვეში ქვეყანაში მომავალი წლის ბიუჯეტს მიიღებენ, რომელიც ახალი შეღავათებისკენ იქნება მიმართული. ქვეყნის მასშტაბით დაწყებულია გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, უფასო სკრინინგი ტარდება C ჰეპატიტით, ტუბერკულოზითა და აივ ინფექციით (შიდსი) დაავადებულთა გამოსავლენად და დროული მკურნალობისთვის.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ნინო ნიჟარაძე და სხვა ხელმძღვანელი პირები შუბნის პირველადი ჯანდაცვის ცენტრში გრიპის საწინააღმდეგო აცრებს, ც ჰეპატიტზე, ტუბერკულოზსა და შიდსზე სკრინინგს დაესწრნენ. შუბანში სკრინინგს ექიმი ეპიდემიოლოგი მაია ჩავლეიშვილი და ფთიზიატრი ნინო ტუნაძე ატარებდნენ.

„შეხვედრა და სხვა ღონისძიებები ორგანიზებული იყო, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის კარგი ჩართულობის დასტურია. მოსახლეობა კმაყოფილია ექიმის მუშაობით. აქ ჩვენი პროგრამული სიახლეების გასაცნობად მოვედით. ის პრობლემებიც მოვისმინეთ, (სათანადო რეაგირება გაკეთდა), რაც მოსახლეობას ამ ეტაპზე აწუხებს, თუმცა გლობალური და გადაუწყვეტელი პრობლემა არ დასმულა. კითხვები მეტწილად, ინდივიდუალური ხასიათისა იყო. მარტო ამ შეხვედრით არ შემოვიფარგლებით. სისტემატურად მივდივართ და კიდევ მივალთ აჭარის მთისა და ბარის დასახლებებში და ყველა იმ სიახლეებს გავაცნობთ, რაც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მიმართულებით კეთდება", - თქვა მინისტრმა.




**რას ფიქრობენ პოლიტიკოსები...** 2

**მოზარდებში ძალადობის პრევენციისთვის** 4





ISSN 2720-8702



# გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# რას ფიქრობენ პოლიტიკოსები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და პრეზიდენტის არშემდგარ იმპიჩმენტზე?

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომათა დარბაზში გამოცხადდა*



გადაწყვეტილებას პლენუმის ცხრა წევრიდან ექვსმა დაუჭირა მხარი. ამასთან, როგორც სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ განაცხადა, დასკვნას დაერთვება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სამი წევრის - ირინა იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული მოსაზრებები.

„ჩემი დუმილის დრო დასრულდა. აქამდე თავს ვიკავებდი, რამეთუ ჩავთვალე, რომ ვიდრე საკონსტიტუციო პროცესი მიმდინარეობდა, ჩემი ამ პროცესში უშუალოდ ჩარევა არ იყო საჭირო. ჩემი წარმომადგენლების როლი, რომლებიც ჩემზე სამართლებრივი კუთხით ბევრად უფრო მცოდნეებიც არიან და იციან, როგორ წარიმართოს ასეთი პროცესი, იყო ბევრად უფრო მნიშვნელოვანი. მათ სრულყოფილად ჰქონდათ ჩემი ნდობა და სრულყოფილად შეასრულეს დაკისრებული ვალდებულება. მართალი გითხრათ, დღეს, ცოტა არ იყოს, გული მეტკინა, თუმცა ამ ქვეყანაში უკვე არაფერი მიკვირს. ნამდვილად არ გამიკვირდა დღევანდელი შედეგი, მაგრამ გული მეტკინა იმ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რომელიც დღესდღეობით იყო დარჩენილი, როგორც ჩვენს სამართლებრივ სისტემაში ერთ-ერთი ადგილი, სადაც კიდევ, გარკვეულწილად, ნდობას იმსახურებდა სასამართლო. დღეიდან უკვე ესეც აღარ არის, ისეთი დასკვნა დადო საკონსტიტუციო სასამართლომ, რომლისაც მას უნდა რცხვენოდეს. ყველა მოსამართლეს, რომელმაც ხელი მოაწერა, უნდა რცხვენოდეს. ერთადერთი, სამმა ადამიანმა კიდევ, გარკვეულწილად, გადაარჩინა თავიანთი რეპუტაცია უფრო, ვიდრე საკონსტიტუციოსი. ეს ქვეყნისათვის არის ძალიან დიდი ზიანის მიყენება იმ დროს, როდესაც, პრაქტიკულად, ყველა დამოუკიდებელი ინსტიტუტი უკვე არის ასეთი დამახინჯებული და აღარ დარჩა დამოუკიდებლობის დამცველი ინსტიტუტი ამ ქვეყანაში, გარდა ერთისა - პრეზიდენტი“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ. როგორც მან აღნიშნა, გადადგომას არ აპირებს. „მინდა, გაგამხნევოთ, გითხრათ თქვენ, საზოგადოებას და ყველას, ვინც მისმენს დღეს, რომ არსად მივდივარ. არ გადავდგები, არ გადმოვდგები, ვიქნები იქ, სადაც ვიყავი, სადაც ვარ მთელი ცხოვრება და რისთვისაც ჩამოვედი, დავრჩი, ქუჩაში ვიდექი ამ ჩვენი ევროპული და დემოკრატიული მომავლისთვის. იმიტომ, რომ დღეს ერთი ქვით მოკლეს ევროპული მომავალიც, ან სცადეს და დემოკრატიაც, რადგან ქვეყანა, სადაც არანაირი ბალანსი არ არსებობს სხვადასხვა შტოს შორის, ვერ ჩაითვლება დემოკრატიულ ქვეყნად“, - განაცხადა მან.

რისი მანიშნებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა პრეზიდენტის მიერ კანონის დარღვევა და იქონიებს თუ არა შესაძლო იმპიჩმენტი გავლენას ჩვენს ევროპულ პერსპექტივაზე? - ამ კითხვებით მმართველი გუნდის და ოპოზიციის წარმომადგენლებს მივმართეთ.

**ტიტე აროშიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:**

- პირველ რიგში, ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც პრეტენზია გააჩნია დემოკრატიულ მმართველობაზე, აუცილებელია, კონსტიტუციით განსაზღვრული ნორმები დაიცვას. ბუნებრივია, განურჩევლად თანამდებობისა, კონსტიტუციის დარღვევა ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სფეროს. საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ ბოლოდროინდელ თვითნებურ საქმიანობაში გამოიკვეთა და საკონსტიტუციო სასამართლოც მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა არ დაიცვა საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, როდესაც სამ შემთხვევაში, 2023 წლის 31 აგვისტოს, 1 სექტემბერს და 6 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის რესპუბლიკისა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტებთან სამუშაო ვიზიტები და საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა მთავრობის თანხმობის გარეშე. სასამართლომ დაადასტურა, რომ ხსენებული კონსტიტუციური განაწესის დარღვევა გულისხმობს საგარეო პოლიტიკის განხორციელების სფეროში მთავრობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებში შეჭრას. საქართველო არის დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საკონსტიტუციო სასამართლომ დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, რის შესახებაც განაცხადა კიდეც, შესაბამისად, კანონი საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეზე თანაბრად ვრცელდება. რაც შეეხება ევროპული პერსპექტივის დაზიანებას, მინდა შეგახსენოთ ევროპის ქვეყნების მოქმედი ან ყოფილი სახელმწიფო პირველი პირების მიმართ აღძრული არა მხოლოდ კონსტიტუციური დარღვევის, არამედ სისხლის სამართლის საქმეებიც კი, საუბარია ევროკავშირის წევრი ქვეყნების საჯარო პირებზე. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ბელგიის პოლიციამ ბერძენი ევროპარლამენტარი ევა კაილი დააკავა. ის ერთ-ერთია ევროპარლამენტის 14 ვიცეპრეზიდენტისგან, ანუ ევროპარლამენტში პრეზიდენტის შემდეგ რანგით მეორე პირად ითვლება დანარჩენ 13 კოლეგასთან ერთად. კაილი კრიმინალურ ორგანიზაციასთან კორუფციასა და ფულის გათეთრებასთან კავშირის გამო მიმდინარე გამოძიებისას დააკავეს. შეიძლება გავიხსენოთ ბერლუსკონის, ბილ კლინტონის გახმაურებული საქმეები. ჩვენ ვასრულებთ ყველა იმ მოთხოვნას, რომლის მითითებაც მოგვცა ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსის მოსანიჭებლად, მათ შორის, დემოკრატიის გაძლიერება ერთ-ერთი მთავარი პუნქტია. აღნიშნული გარემოება ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ნიუანსებია, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ეროვნულ და ევროატლანტიკურ ინტერესებს ემსახურება და შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს პრეროგატივას.

**გია აბულაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

- საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოოდ დაგვანახა, რომ მართლმსაჯულების სისტემა აღარ არსებობს ქვეყანაში და არა რომელიმე ერთი სანქცირებული კლანი, არამედ მთელი სისტემა დაიქვემდებარა არაფორმალურმა მმართველმა, პუტინის ქვეშევრდომმა ბიძინა ივანიშვილმა, ხოლო მის მონებს აქვთ ამ ქვეყანაში ტექნიკური ფუნქცია. მაგალითად, აბსურდული სარჩელის აღძვრა ან ბინძური კამპანიის წარმოება და ტალახის სროლის მარათონის მოწყობა. ამით საფრთხე ექმნება არა მხოლოდ ჩვენს

იხ. მე-3 გვ.

## ამბები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმში კიდევ ერთი 9-სართულიანი სოციალური სახლის მშენებლობა დაიწყო. ახალ სახლში საცხოვრებელი ფართი 121 ოჯახს გადაეცემა. პროექტის ღირებულება 11 მლნ ლარია. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე აშენდა 4 სოციალური სახლი, მათ შორის 3 - სოფელ კაპრეშუმში და 1 - ურეხის დასახლებაში. ჯამში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 112 ეკომიგრანტი ოჯახი. ასევე, ერგესა და სალიბაურში იგეგმება სოციალური სახლების მშენებლობა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლით ჯამში 350 ოჯახი დაკმაყოფილდება. სოციალური სახლების მშენებლობა აჭარის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს, - ნათქვამია აჭარის მთავრობის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

აჭარის უმაღლეს საბჭოში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომა გაიმართა. სხდომაზე ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელ თაკო გაბაიძის განცხადებით, ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის კალენდარი იგეგმება ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს, ყოველწლიურად, ჩართულობის ზრდას. ცენტრის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობა შეუძლიათ აჭარის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ, 14-დან 29 წლის ასაკის ახალგაზრდებს. ცენტრის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, წლის განმავლობაში მოეწყო არაერთი შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათის ბანაკი, გაიმართა ფესტივალი, ლაშქრობა, სხვა ინტელექტუალური აქტივობები, ახალგაზრდები ჩართულები არიან საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში.

* * *

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით ხულოში კიდევ სამი ახალი ხიდი გაკეთდა. ეს საკომუნიკაციო საშუალებები ღორჯომის ხეობას კურორტ ბახმაროსთან დააკავშირებს, სოფელ დიოკნისს - მაჩაქნარას ტერიტორიასთან, კურორტ ბეშუმის მიმდებარე ტერიტორიებს - ლოდიძირსა და საკამბეჩოს კი ერთმანეთთან. სამივე ხიდის მშენებლობაზე 699 677 ლარი დაიხარჯა. ამ ეტაპზე ხულოში აქტიურად მიმდინარეობს საყრდენი კედლების, გაბიონების და რკინა-ბეტონის კიუვეტების მოწყობის სამუშაოები.

* * *

16 ოქტომბრიდან ქვეყნის მასშტაბით, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არის გრიპის პრევენციის და მისგან გამოწვეული მძიმე შედეგების ყველაზე ეფექტური სპეციფიკური საშუალება. „ცენტრები და კლინიკების დიდი ნაწილი ჩართულია ვაქცინაციის პროცესში, 60 წლის და ზემოთ პირები არიან მაღალი რისკის მატარებლები, ასევე, შაქრიანი დიაბეტის და სხვა ქრონიკული დაავადებების მქონე პირები. ძალიან მნიშვნელოვანია ვაქცინაცია ორსულებისთვის, მათი აცრა მოხდება პირველ ეტაპზე და აუცილებლად უნდა მოგვმართონ და აიცრან. ორსულებისთვის მთელი წლის განმავლობაში ვინახავთ გარკვეული რაოდენობის ვაქცინას იმისთვის, რომ როგორც კი დადგება ორსულობა, აიცრან, ამის შესახებ მათ რეკომენდაციას აუცილებლად მისცემს მეან-გინეკოლოგი“, - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ. რისკის ჯგუფის მოქალაქეების ვაქცინაცია იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში იქნება შესაძლებელი.

შესაბამისი სერვისის მისაღებად, მოქალაქეებმა თან უნდა იქონიონ საკუთარი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა. ჯანმოს რეკომენდაციების თანახმად, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია რეკომენდებულია გრიპის ვირუსის აქტიური ტრანსმისიის დაწყებამდე.

* * *

მთიან აჭარას ახალი, 24-კილომეტრიანი წრიული ველომარშრუტი შეემატა, რომლის მარკირებაც წელს განხორციელდა. მარშრუტი გოდერძის უღელტეხილიდან იწყება, პირველი გაჩერება კი მწვანე ტბაა, სადაც მოგზაურებს პიკნიკი, ტბაზე ნავით გასეირნება და შთამბეჭდავი ფოტოების გადაღება შეუძლიათ. მწვანე ტბაზე შესვენების შემდეგ ველომარშრუტი შავი ტბისკენ გრძელდება. ტყის სიმწვანეში ჩაფლული შავი ტბა ზღვის დონიდან 1900 მეტრზე მდებარეობს. იგი გარშემორტყმულია ალპური ტყით და ჭაობისათვის დამახასიათებელი მცენარეებით. შავი ტბის შემდეგ ველომარშრუტი ისევ გოდერძის უღელტეხილზე ბრუნდება. მოგზაურები ასევე ნახავენ რიყეთისა და ლოდიძირის იალაღებზე მეცხოველეების ხის სახლებს, საიდანაც ძალიან საინტერესო პეიზაჟებიც იშლება.

* * *

„ლიტერატურული ჰაბი“ - ასე ჰქვია „ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის“ პროექტს, რომელიც ორი წელია ხორციელდება და რეგიონში ლიტერატურის მოყვარულ ახალგაზრდებს აერთიანებს. წელს „ლიტერატურული ჰაბის“ დასკვნით ლიტერატურულ საღამოს აჭარის ხელოვნების მუზეუმმა უმასპინძლა, სადაც პროექტის ფარგლებში ჩატარებული კონკურსის 10 გამარჯვებული გამოავლინეს, ასევე, მოხდა წიგნის „ხმა“ წარდგინება, რომელშიც პროექტში მონაწილე ახალგაზრდების ნამუშევრები შევიდა. აღსანიშნავია, რომ „ლიტერატურული ჰაბის“ ფარგლებში აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა 2-დღიანი სასწავლო კურსი, რომელმაც ლიტერატურით დაინტერესებულ ახალგაზრდებს მისცა შესაძლებლობა, წარმოეჩინათ საკუთარი თავი, განევითარებინათ წერის ტექნიკა და უნარები, ასევე, დასწრებოდნენ ლიტერატურულ მასტერკლასებს, ტრენინგებსა და სალონურ საღამოებს.

* * *

ევროპის მოედნის რეაბილიტაცია დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას ბათუმის მერიის პრესსამსახური ავრცელებს. „პროექტი შადრევნის რეაბილიტაციას, ახალი გარეგანათებისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობას, დეკორატიული ფილების, ბორდიურებისა და მოაჯირების მონტაჟს ითვალისწინებს. რეაბილიტაციის ფარგლებში, ტერიტორიაზე დამატებით მოეწყობა გამწვანებული სივრცეები, სარწყავი სისტემა, განთავსდება საპარკო ინვენტარი და დაირგვება მწვანე ნარგავები. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება წლის ბოლომდე იგეგმება, რისთვისაც მილიონ 320 ათას ლარამდე დაიხარჯება. აღსანიშნავია, რომ ევროპის მოედანზე გასულ წელს უკვე დასრულდა მედეას ქანდაკების რესტავრაცია, რისთვისაც 442 ათას ლარზე მეტი გამოიყო“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

მიმდინარე წლის 8 თვეში, გემების მხრიდან შავი ზღვის დაბინძურების 11 ფაქტი გამოვლინდა - თითოეული 65 000 ლარით დაჯარიმდა. 2023 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, ზღვის დაბინძურების მიმართულებით, 184 გემი შემოწმდა, 164 შემთხვევაში კი დარღვევა არ გამოვლინდა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში განმარტავენ, რომ ამავე პერიოდში, ასევე, სახომალდო დოკუმენტებში არასწორი ჩანაწერის 9 ფაქტი გამოვლინდა, რისთვისაც სამართალდამრღვევებს, თითოეულს 250 ლარის ოდენობით, ჯარიმა დაეკისრა.

* * *

ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქ. № 15-ში მიმდინარე სამუშაოებისთვის 428 000 ლარზე მეტი დაიხარჯება. სპორტული მოედნისა და საბავშვო ატრაქციონების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, განახლდება არსებული სპორტული მოედანი და ტრიბუნა, მოედნის მიმდებარედ მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, დეკორატიული ფილები და ბორდიურები. დაგეგმილია, ასევე, გარეგანათების სისტემის აღდგენა და საპარკო ინვენტარის განთავსება.

**მოამზადა**
**ხატია იაშვილმა**

# ისრაელში მიმდინარე ომი და შეფასებები აქტორების სავარაუდო ჩართვასთან დაკავშირებით

თამუნა ლამპარაძე 595 85 90 06

*დღეს ყველაზე აქტუალური საკითხი მთელი მსოფლიოსთვის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომია. სიტუაცია ყოველდღიურად რთულდება და მსხვერპლის რაოდენობაც იზრდება*

ამ ომში შესაძლოა, სხვადასხვა აქტორები ჩაერთონ და არ არის გამორიცხული, არსებულმა ომმა, გარკვეულწილად, მესამე მსოფლიო ომის იერსახე მიიღოს. როგორ მიმდინარეობს ისრაელში მოვლენები და რამდენად მოსალოდნელია ომში სხვა სახელმწიფოების ჩართვა (ირანი, აშშ)?

ამასთან დაკავშირებით თავიანთ თვალსაზრისს პოლიტოლოგები გვიზიარებენ.

**გიორგი კობერიძე, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - „ჯიპას“ პროფესორი:**

- მოვლენები საკმაოდ სწრაფად ვითარდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ისრაელი ასეთი მასშტაბისა და სისწრაფის თავდასხმას არ ელოდა. 2014 წელს 50-დღიანი დაბომბვის კამპანიამ „ჰამასი“ ვერ გატეხა. რეალურად, ამის შემდეგ დაიწყო ტერორისტულმა რეჟიმმა ისრაელის წინააღმდეგ ხანგრძლივი მზადება. მიუხედავად ყოველწლიური შეტაკებებისა, ასეთ მასშტაბურ იერიშებსა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიზანმიმართულ ამოხოცვას ისრაელში არავინ ელოდა. ირანისთვის, რომელიც რეგიონში დომინანტობას უკვე დიდი ხანია ცდილობს, „ჰამასი“ და „ჰეზბოლა“, ორივე, ერთი მხრივ, ისრაელთან ბრძოლის, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონის ქვეყნებში საკუთარი მხარდამჭერი რეჟიმების დახმარების და მოწინააღმდეგეთა დაშინების იარაღია. „ჰამასი“ ისრაელის წინააღმდეგ მართული ერთ-ერთი იარაღი და საშუალებაა ირანისათვის. მიუხედავად ამისა, ნაკლებ სავარაუდოა, ამ ეტაპზე, კონფლიქტში ირანის პირდაპირი ჩართვა ვიხილოთ. რაც შეეხება აშშ-ს, აქვს რესურსიც და მოტივაციაც, საჭირო იარაღითა და ინფორმაციით დაეხმაროს ისრაელს. ის ამას აუცილებლად გააკეთებს, მაგრამ, ამ ეტაპზე, მისი უშუალო ჩარევა მაინც ლიმიტირებული იქნება, რადგან ისრაელის მხარეს პირდაპირი ჩართვა ტერორისტებსა და რადიკალებს კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მისცემს.



**ირაკლი გორგილაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტოლოგი:**

- უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა „ჰამასი“ არის ერთ-ერთი ყველაზე რთული ორგანიზაცია, გნებავთ, დაჯგუფება. თვალში საცემია მისი გააქტიურების ფაზა - ეს მაშინ ხდება, როცა ვითარება ახლო აღმოსავლეთში გრძელვადიანი სტაბილიზაციისკენ ან მშვიდობისკენ გადაიხრება. აქვე, განსჯისთვის, უნდა ვიცოდეთ, რომ მას ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებს ევროკავშირი, ისრაელი, იაპონია, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, როცა მსჯელობა სამართლიანობის აღდგენის ან მსგავსი არგუმენტებით იწყება, ან იმის გარკვევით, ეს ტერიტორია ებრაელების იყო თუ არაბების, რადგან მკაფიო კრიტერიუმი საამისოდ არ არსებობს. ერთი რამ ფაქტია, ებრაელები თავის დროზე გაეროს გადაწყვეტილებას ტერიტორიის გაყოფაზე დათანხმდნენ, არაბები - არა. აქედან პირველი დასკვნა - ისტორიული სამართლიანობის აღდგენა ყოველთვის ვერ ხერხდება, ამიტომ არსებობს შეგუების ცნება. „ჰამასის“ ფინანსური რესურსი, 2022 წლის მდგომარეობით, 1 მილიარდ ამერიკულ დოლარად არის შეფასებული, რომლის გენერირებას ის, ძირითადად, ღაზის სექტორში არსებული უძრავი ქონების 10%-ის ფლობით, გავლენიანი ოჯახების შემოწირულობებით და ირანის ისლამური რესპუბლიკის ფინანსური დახმარებით ახერხებს. ვფიქრობ, ესეც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საიმისოდ, რაზეც ზემოთ ვსაუბრობ. ამიტომ, რეგიონში მიმდინარე პროცესები არ შეიძლება შეფასდეს განყენებულად, ე. წ. უხილავი გავლენის აგენტების გაუთვალისწინებლად. რატომ? იმიტომ, რომ ქაოსი ქმნის გარკვეულ წესრიგს. რაც ახლა ხდება, ტერორიზმია - სუსტების სტრატეგიაა, ანუ არაპროპორციული ძალის პროვოცირების მექანიზმია, რაც, ცალკეული ანალოგიების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, გრძელვადიან დაპირისპირებაში ჩათრევის მიზნით ხდება.

**ერეკლე მანველიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:**

- არაპირდაპირი ფორმით აშშ და ირანი, მეტ-ნაკლებად, ჩართულები არიან. თვით სამხედრო ოპერაციის მასშტაბი ამაზე მეტყველებს. თანამედროვე ეტაპზე, კონფლიქტები გლობალურ მასშტაბებს ვერ შეიძენს, ვინაიდან დღეს საერთაშორისო წესრიგის გარანტი სარაკეტო-ბირთვული წონასწორობაა, რომელსაც ქმნის წამყვანი სახელმწიფოების ბირთვული პოტენციალი. ეს კარგად ჩანს რუსეთ-უკრაინის ომში, სადაც ნატოს ხელფეხი შეკრული აქვს პირდაპირი მოქმედებისთვის. ამაზე დასავლეთი და რუსეთის ლიდერებიც ამახვილებენ ყურადღებას.

# რას ფიქრობენ პოლიტიკოსები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და პრეზიდენტის არშემდგარ იმპიჩმენტზე?

მე-2 გვერდიდან

ევროპულ პერსპექტივას, არამედ ქვეყნის მომავალს, უსაფრთხოებას და ეკონომიკურ სტაბილურობას. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს მახინჯი სისტემა რომელიმე ქალაქში თუ სოფელში არ შეეხება რომელიმე მოქალაქეს, შემცდარია. ეს შეგვეხება თითოეულს, როცა დაგვჭირდება სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო, აისახება არასტაბილური გარემოს გამო ეროვნულ ვალუტაზე, ინფლაციაზე, ფასების ზრდაზე და სხვა. რაც შეეხება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, არასდროს ვყოფილვარ მისი მხარდამჭერი, რადგან ის ჩვენს ქვეყანას ადანაშაულებდა ომის დაწყებაში, ასევე, ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ, მან უნდა გაფანტოს ეჭვები, რომ ასრულებს ბიძინა ივანიშვილის მეორე ხელის მოვალეობას, ამიტომ გამოწვევების მთავარ სათავეზე - ივანიშვილზე, მისთვის სახელმწიფოს მართვის ბერკეტების გამოცლასა და რუსული ოლიგარქიული სისტემის მოცილებაზე ღიად უნდა ისაუბროს, კონკრეტული გეგმით. თუ სალომე ზურაბიშვილი პროდასავლური სტილის ლიდერია და მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ მომავალს, ჩემთვის და ბევრი მოქალაქისათვის გაუგებარია, რატომ არ გააჩნია მკაფიო პოზიცია პუტინის ტყვეობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით? 12-პუნქტიანი რეკომენდაციიდან ერთი ნაწილი ეხება მიხეილ სააკაშვილის თავისუფლებას და ამ პუნქტის აღსრულება, სწორედ, სალომე ზურაბიშვილის პასუხისმგებლობაა. რატომ აყოვნებს გადაწყვეტილების მიღებას, ან ამ ქმედებით ისიც ხომ არ ასრულებს ივანიშვილის დავალებას? ეს კითხვები არსებობს და სალომე ზურაბიშვილმა უნდა გასცეს პასუხი, თუ ის მართლა ზრუნავს ქვეყნის ევროპულ მომავალზე. ამიტომ მე ველოდები მისგან უფრო მკაფიო პოზიციასა და ქმედებებს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ განაცხადა, რომ არ მიიღებს სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტში/გადაყენების კენჭისყრაში მონაწილეობას. რა თქმა უნდა, მეც ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას. ნებისმიერი პარლამენტის წევრი, რომელიც მხარს დაუჭერს პრეზიდენტის გადაყენებას, ამ ინსტიტუციის საბოლოოდ განადგურებას და საფრთხის წინაშე დააყენებს ჩვენი ქვეყნის მომავალს, აგებს პასუხს! ეს ადამიანები შევლენ ისტორიაში სერგო ორჯონიკიძეებად.

**ჯამბულ ხოზრევანიძე, მიგრაციისა და ეკომიგრანტების ლიგის თავმჯდომარე, „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი:**

- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია, სასამართლოსთან და სამართლებრივ განზომილებასთან არაფერი აქვს საერთო, ამ გადაწყვეტილებამ აჩვენა, რომ ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტები. ვეთანხმები ექსპერტების მოსაზრებას - დღეს, როდესაც ევროკავშირი ცალსახად გვეუბნება, ფაქტობრივად, გვთხოვს, რომ როგორც პოლიტიკური სპექტრი, ასევე, საზოგადოება გავერთიანდეთ პოლარიზაციის შესამცირებლად, რათა არ დავკარგოთ კანდიდატის სტატუსის მიღების შესაძლებლობა, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს პოლარიზაციის უფრო გასაღრმავებლად, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ქვეყანას, მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ჩემი აზრით, ხელისუფლება ასეთ გადაწყვეტილებებს იმიტომ იღებს, რომ მისთვის მიუღებელია ევროპული ფასეულობები. ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი მეგობრები ევროკავშირიდან გაითვალისწინებენ მოსახლეობის უმრავლესობის თხოვნას და აუცილებლად მივიღებთ კანდიდატის სტატუსს. ეს იქნება ქართველი ხალხის დამსახურება, ხელისუფლება კი თავისი ქმედებით ეწევა საბოტაჟს.

საქართველოს ისტორიაში პირველად პარლამენტმა პრეზიდენტის იმპიჩმენტს უყარა კენჭი, თუმცა იგი ვერ შედგა. მმართველმა პარტიამ პრეზიდენტის გადასაყენებლად 100 დეპუტატის დათანხმება ვერ შეძლო, რადგან კენჭისყრაზე იმპიჩმენტს მხარი მხოლოდ 86-მა დეპუტატმა დაუჭირა. ვიდრე „ქართული ოცნება“ მის იმპიჩმენტს უყრიდა კენჭს, სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან დეპუტატებს მიმართა. პრეზიდენტის მოხსენების დიდი ნაწილი მმართველი გუნდის ანტიევროპული რიტორიკის ხაზგასმა იყო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს და მოვისმინეთ მათი მოსაზრებები.

**დავით ბაციკაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“:**

- საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია და ამიტომ სხვა ნიუანსებს უკვე აზრი აღარ აქვს. მთავარი ის არის, რომ პრეზიდენტი არის კონსტიტუციის დამრღვევი პირი. იგი დიდი ხანია ცდილობდა ამას. ეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით და გამოუვიდა კიდეც. რაც შეეხება აპელირებას იმაზე, რომ ეს მხოლოდ პოლიტიკური პროცესია და არასამართლებრივი, არასწორია. ამ ქვეყანაში ყველა უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ კონსტიტუცია და კანონი უნდა ვისწავლოთ და მისი დარღვევა არავის შეუძლია, მათ შორის, არც პრეზიდენტს.

**გენო თებიძე, „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი:**

- მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ იცოდა, ხმები არ ჰყოფნიდა და შეუძლებელი იყო იმპიჩმენტის საკითხის ბოლომდე მიყვანა, მაინც მსოფლიოს დაანახა, თუ როგორ სჯიან პროდასავლურ ძალებს, მნიშვნელოვან ინსტიტუტებს, მედიას. ეს სირცხვილი სამუდამოდ გაჰყვებათ უმრავლესობის წევრებს, რადგან ყველამ დავინახეთ, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო დააპირეს პრეზიდენტის დასჯა, რომ ის შეეცადა „ოცნების“ ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, შეუსრულებელი 12 რეკომენდაცია, ქვეყნის ევროინტეგრაციის კურსიდან გადახვევა და პარტნიორ ქვეყნებთან გაუარესებული ურთიერთობების შენარჩუნება დაეზღვია. პროდასავლური ოპოზიციისგან მიიღო მხარდაჭერა, რაც სამომავლოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის განვითარებას და წინ წაწევისთვის საერთო საქმიანობას! „ოცნების“ მასკარადი დასრულდა კრახით! პრეზიდენტისგან ველოდები უფრო თამამ და შემტევ ნაბიჯებს, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს ევროკავშირის წევრობის სტატუსთან და ქვეყნის სწორი კურსით განვითარებასთან.

**ილია ვერძაძე, აჭარის ა რ უმაღლესი საბჭოს წევრი:**

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ თავიდანვე, ამ პროცესის დასაწყისში, პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ პირდაპირ განაცხადა, რომ მთავარი მიზანი სიმართლის დადგენა, კონსტიტუციის სწორად წაკითხვა და გაგება იყო. მეც, ასევე, არაერთ ინტერვიუში მითქვამს, რომ ამ გაუმართლებელ, ქვეყნისათვის საზიანო აჟიოტაჟს ერთხელ და საბოლოოდ წერტილი უნდა დასმოდა და ამ თვალსაზრისით, ყველაზე ადეკვატური საკონსტიტუციო სასამართლოს გზა იყო. კონსტიტუცია არ არის სამოქალაქო კოდექსი, მისი თეზისები მარტივი და გასაგები უნდა იყოს მოქალაქეებისათვის. კონსტიტუციით განსაზღვრულია, სახელმწიფო მოწყობა, საზღვრები, მთავარი ღირებულებები, უფლებები და ა. შ. კონსტიტუცია არის ძირითადი კანონი, რომელშიც წერია, რომ საქართველო არის საპარლამენტო ქვეყანა და პირველი პირი არის პრემიერი. მორჩა. რაღაც არ მსმენია მსგავსი პრობლემები ევროპულ ქვეყნებში. იქაც არიან პრეზიდენტები, მაგრამ პრემიერია პირველი პირი და ეს ყველამ იცის, ყველა პატივს სცემს ამ თეზას. დამადასტურებელი ვერაფერი წარმოადგინესო, რომ აცხადებენ, ეს ძალიან საინტერესო მიდგომაა. არ გქონდა კანონით განსაზღვრული პრემიერის თანხმობა ვიზიტზე და მაინც განახორციელე? მორჩა! დანარჩენი დეტალები, რას აკეთებ, ან ვერ აკეთებ, თუ განზრახ აკეთებ, არის პოლიტიკური ასპექტი და აქ ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი. ასე რომ, იმპიჩმენტის პროცედურამ თავისი საქმე გააკეთა. დადგინდა, რომ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია, დადგინდა, რომ პრეზიდენტს და რადიკალურ ოპოზიციას ერთი დღის წესრიგი აქვთ. დადგინდა, რომ ოპოზიციაში ერთმანეთს არ და ვერ ენდობიან და შეურაცხყოფენ.

**რეზო ხარაზი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის საკრებულოს დეპუტატი:**

- ქვეყნის იმპიჩმენტი და მასთან დაკავშირებული პროცედურები ეს იყო ივანიშვილის კარგად დაორგანიზებული და კარგად გათვლილი ნაბიჯი, რომ საზოგადოებას ენახა სანახაობა. დღეს ქვეყანაში არსებობს უამრავი პრობლემა, რომელზეც არის საუბარი. პარლამენტს და საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ემუშავა არა პრეზიდენტის იმპიჩმენტზე, არამედ ქვეყანაში არსებულ კონკრეტულ პრობლემებზე. ხელისუფლებამ თავიდანვე იცოდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იმპიჩმენტს არ დაუჭერდა მხარს, მაგრამ ეს ყველაფერი სჭირდებოდა მასკარადისთვის. ახლა მნიშვნელოვანია, ჩვენ არ ავყვეთ იმპიჩმენტის საკითხს და მსგავს სისულელეებს და ბრძოლა გავაგრძელოთ ხელისუფლების წინააღმდეგ.

**აკაკი გვიანიძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, პარტია „საქართველოსათვის“:**

- სასოწარკვეთილი „ოცნება“ ნაციონალების ცნობილი ტაქტიკის გამოყენებით ცდილობს, ეს მარცხი გამარჯვებად გაასაღოს. გახარიას გუნდი ამ პროცესს თავიდანვე არ განიხილავდა სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტად. ეს იყო ჩვენი ევროპული მომავლის იმპიჩმენტის მცდელობა. სწორედ ამიტომ, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ არ დაგვეშვა ნაცქოცური ალიანსისა და ფარული შეთანხმებების შედეგად პრეზიდენტის იმპიჩმენტი და ამ მიზანს მივაღწიეთ კიდეც.

იხ. მე-7 გვ.

# მოზარდებში ძალადობის პრევენციისთვის

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80



*რა იწვევს მოზარდებში აგრესიას და ძალადობას? რას უნდა მივაქციოთ ყურადღება უფროსებმა და როგორ ვეძებოთ გამოსავალი? ვის ეკისრება პასუხისმგებლობა შექმნილ მდგომარეობაზე? - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაზეთ „აჭარას“ ესაუბრა კლინიკური ფსიქოლოგი-ფსიქოთერაპევტი* ***ზურაბ ქარჩავა.***

**- რატომ გახშირდა მოზარდთა შორის ძალადობის შემთხვევები, განსაკუთრებით - ბოლო პერიოდში?**

- რთულია იმის თქმა, რამდენად გაიზარდა ან შემცირდა მოზარდებში ძალადობის ფაქტები, რადგან სტატისტიკურმა მონაცემებმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. ძალადობრივმა ქცევამ, ბულინგმა, რასაც ახორციელებენ მოზარდობის პერიოდში, ვერ ვიტყვი, რომ დღეს იმატა, ხშირ შემთხვევაში, არ ხდება ამ თემის აფიშირება. კონკრეტული ფაქტი თუ სასკოლო-საგანმანათლებლო სივრცეში მოხდა, მაშინ თითქოს ხდება პრობლემის შიგნიდან მოგვარება.

**- მსგავს შემთხვევებში პრობლემა გვარდება?**

- არა, იმიტომ, რომ კრიზისული სიტუაციის მართვას გარკვეული უნარები და სპეციალური განათლება სჭირდება. ეს პრობლემა მეზობლურად არ გვარდება. აქედან გამომდინარე, არის შემთხვევები, როდესაც ხდება ამ თემის დაფარვა და არ შუქდება, მაგრამ როდესაც ტელევიზიამდე მიდის ამბავი, გაშუქებაც, ხშირად შერჩევითია, რაც არის ძალიან არაჯანსაღი დამოკიდებულება. ძალადობის საფრთხეებზე მულტიგუნდური მიდგომაა საჭირო, რაშიც სხვადასხვა სპეციალისტი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, პედაგოგი, მშობელი და, ასევე, სკოლის ადმინისტრაცია უნდა იყოს ჩართული, რომელიც ამ სივრცეში უნდა აგვარებდეს პრობლემას გარკვეული სტრატეგიის მიხედვით, ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

**- რა შეიძლება იყოს მოზარდებში ძალადობის გამომწვევი მიზეზი?**

- თითოეულ ადამიანში არსებობს ამის მზაობა, ამას აკეთებს ჩვენი ტვინის რეპტილური ნაწილი ავტომატურად და არაცნობიერად. აგრესიაც, ძალადობაც ჩვენი ბუნების ნაწილია. როდესაც, გარკვეულწილად, ეს ინსტიქტურად, ევოლუციის პერიოდში ჩამოყალიბდა, რაღაც მომენტში საჭიროებაც არსებობდა. არის სპორტის სახეობები, სადაც ძალადობა და აგრესია ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ გარკვეულ სოციალურ ნორმებში და წესებში ჯდება. ეს, კონკრეტულად, ინსტიქტურ მოქმედებას რომ დააბრალო და მხოლოდ ერთ ფაქტორში გაითვალისწინო, ასეც არ არის. თანამედროვე ფსიქიკური ჯანდაცვის სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ მსგავს ფაქტებზე, ძალადობა იქნება, აგრესია, ბრაზი თუ სხვა მოქმედება, განიხილავენ მას ბიო-ფსიქო-სოციალურ მოდელში. ბიოლოგიურ, პიროვნულ, ემოციურ, სოციალურ მოდელებში შეიძლება იგულისხმებოდეს კიდევ ის, რომ იგივე მიკროსოციუმში, ოჯახის სისტემაში იყოს გარკვეული მოდელები, რომლებსაც ბავშვები დაისწავლიან აღზრდის პერიოდში. ხშირ შემთხვევაში, ბულინგის შემთხვევები გვხვდება მერვე კლასიდან და მაღლა. აქ კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ეხმარება ძალადობის განვითარებას, ეს არის მოზარდის გარკვეული ფსიქოლოგიური და ემოციური თავისებურებები, რომლებიც ასაკს შეიძლება ახლდეს, იწყება ფიზიკური მომწიფების, ასე ვთქვათ, პუბერტატის ასაკში.

> ***„უფრო მეტი სარისკო გარემოებები არსებობს, რომლებსაც მივყავართ იქამდე, რომ ვფიქრობთ, სკოლა შეიძლება იყოს საშიში ჩემი შვილისთვის. სიმართლე გითხრათ, მირჩევნია ჩემი შვილები იყვნენ ფსიქოლოგიურად ჯანმრთელები, ვიდრე ყველა საგანში ჰქონდეთ 10 ქულა და წარმატებაზე იყვნენ ჩამოკიდებულები***

**- რას გულისხმობთ?**

- გარდატეხის ასაკში გარკვეული ბიოლოგიური და ფიზიკური პროცესები და ცვლილებები ხდება. პრობლემატურია ისიც, რომ სკოლებში არ ისწავლება სქესობრივი განათლების საკითხები და ამ თემებზე არ არის აქცენტი გაკეთებული. საჭიროა ჯანსაღი ინფორმაციის მიწოდება, რომ მოზარდმა იცოდეს, რა ხდება ამ დროს მის სხეულში. რაც არ უნდა ჯანსაღ გარემოში გაიზარდოს ბავშვი და ყველანაირი თანამედროვე ფსიქოლოგიური პრინციპი გამოვიყენოთ, ფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ რეაქციებს ვერ ავცდებით. ბავშვმა უნდა იცოდეს ამის მართვა და ეს არის მნიშვნელოვანი. პირდაპირ ვერ ვიტყვი, რომ ინფორმირებულობა საერთოდ აქრობს ძალადობას ან აგრესიას, თუმცა, ფსიქოლოგიურ განათლებას ძალადობის შემცირების ტენდენცია მოაქვს. ამაზე კვლევებიც არსებობს. სწორი ინფორმაციის მიწოდებით, ძალადობა 20-30%-ით შეიძლება შემცირდეს. ცნობიერების ამაღლების კამპანიას, გარკვეულწილად, აქვს დადებითი შედეგი.

**- გარკვეულ სკოლებს უკვე ჰყავთ ფსიქოლოგები, თუმცა თავიანთ დანიშნულებას რამდენად ასრულებენ...**

- სკოლის ფსიქოლოგებს თავიანთი ფუნქცია-მოვალეობები აქვთ. ეს გაწერილი უნდა იყოს და ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდებოდეს, იქნება ეს პრევენციული თუ ინტერვენციული. ჩვენს საზოგადოებაში მოძალადე მაინც სტიგმატიზებული და გარიყულია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძალადობს ადამიანი, რომელსაც თვითონ აქვს გამოცდილება ფსიქოლოგიური, ემოციური ან ფიზიკური ძალადობის. ყველას სჭირდება დახმარება, როგორც ამგვარი ქმედების განმახორციელებელს, მსხვერპლს, ასევე, იმ მოზარდებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ძალადობის შემთხვევის ადგილზე. ეს მატრამვირებელი გარემოა და გარშემომყოფებზეც აისახება. მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის და პიროვნების როლის გათვალისწინება და არა მსაჯულის პოზიციაზე ყოფნა (შენ მართალი ხარ ან მტყუანი), რადგან მოზარდობის ხანაში, პუბერტატის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც ბავშვებს და მოზარდებს ახასიათებს, არის სამართლიანობის განცდის მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება როდესაც ვერ კმაყოფილდება და ფსიქოლოგიურ და ემოციურ ბალანსს არ იწვევს, იზრდება არაპირდაპირი გამოვლინება, როგორც აგრესიის ან ძალადობის, მეტიც, მოზარდმა შეიძლება საკუთარი თავის მიმართაც კი განახორციელოს თვითდამაზიანებელი ქცევა, გახდეს ჩაკეტილი და სხვა. ჩვენ ბავშვებსა და მოზარდებზე ვსაუბრობთ, თუმცა თვითონ ზრდასრულებიც კი, შესაბამისი გარემოებების შექმნის საფუძველზე, შესაძლებელია გახდნენ მოძალადეები. ეს ყველაფერი დაკავშირებულია სტრესმედეგობაზე, ემოციური ინტელექტის ხარისხის განვითარებაზე, როგორ შეუძლია ადამიანს მართოს ეს გაღიზიანება და საკუთარი ბრაზი. ყველაფერი ჩვენი უნარებია - კოგნიტური, ემოციური, სოციალური, რომლებსაც, სამწუხაროდ, საგანმანათლებლო სივრცეში არ ექცევა ყურადღება. ასევე, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმას, რომ გარდატეხის ასაკში, მოზარდების პუბერტატის დროს, რაც მე გამოცდილება მაქვს, ემპათიის, თანაგანცდის ხარისხი ფიზიოლოგიურად იკლებს. გაღიზიანება, ფიზიოლოგიური ცვლილებები და პროცესები ძალიან მძიმეა და გაუცნობიერებლად ხდება ეს ყველაფერი. თუ არ აქვს უნარები და არ იცის, როგორ მართოს ყოველივე, ძალიან მძიმე შედეგები შეიძლება მივიღოთ, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სკოლებში ფსიქოლოგების არსებობა და მოზარდებთან სწორი მუშაობა.

**- რა შეიძლება გააკეთოს სკოლამ და მასწავლებელმა, უშუალოდ ვისაც შეხება აქვს ბავშვებთან?**

- პირველი პრინციპია, რომ ყველა რგოლის ჩართულობა იყოს ჯანსაღი კომუნიკაციის პრინციპზე აგებული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძალადობრივი ქცევის განმახორციელებელი შინაგანი ბუნებით ძალიან ტრავმულია და აქედან გამომდინარე, ჩვენ არ უნდა ვავნოთ არცერთ მხარეს. ამ პროცესის ფასილიტაცია არ არის მარტივი. აქ კიდევ კონფიდენციალურობის პრინციპია ძალიან მნიშვნელოვანი. ძალადობის მაპროვოცირებელი შეიძლება იყვნენ ზრდასრულები და მშობლებიც კი. ძალიან ბევრი ფაქტორია, რაც უნდა გავითვალისწინოთ და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ყველაფერი ზრდასრულების პასუხისმგებლობაა, ასევე, იმ ადამიანების, რომლებიც იმყოფებიან იმ გარემოში და პასუხისმგებლები არიან ბავშვთან მიმართებაში. ხშირად პედაგოგები აბრალებენ სკოლას, სკოლა - განათლების სამინისტროს და ამ გადაბრალებასა და პასუხისმგებლობის გადატანის მცდელობებში ცუდი რეალობა დგება ჩვენი მოზარდებისათვის. მარტო ოჯახებზე არ არის საუბარი, ავიღოთ პოლიტიკური და სამთავრობო გარემო, როდესაც შენ დილიდან საღამომდე, მასმედიის საშუალებით ხედავ აგრესიის და ძალადობის პროპაგანდას, შეფარულს, პირდაპირს, ირიბს, ფსიქოლოგიურს თუ ემოციურს. როცა ზრდასრული ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, თვითონვე ახორციელებენ ძალადობას, ჩვენ რა უფლება გვაქვს, მოვთხოვოთ ბავშვებს, იყვნენ ტოლერანტულები და ემპათიურები ერთმანეთის მიმართ? სამწუხაროდ, დღეს ადამიანი კი არ არის ღირებული, არამედ მატერიალურ-საგნობრივი და ფინანსური კეთილდღეობა გადავიდა წინა პლანზე, თან წარმატება ყველაზე საშიშ დიაგნოზად იქცა.

**- რას გულისხმობთ?**

- უფროსები ბავშვებს სთხოვენ, რომ წარმატებულები იყვნენ, თუმცა არ ფიქრობენ, ამ დროს ბავშვი თუ არის ბედნიერი. დღესდღეობით ტვინის აღქმის, ყურადღების ნეიროფსიქოლოგიური ხარისხი შეცვლილია, ძალიან დაიწია კონცენტრაციის უნარმა. ტექნიკურმა ეპოქამ შეცვალა ტვინის ფუნქციონირება. თაობას, რომელიც ახლა მოდის, ერთი საათის განმავლობაში გაკვეთილზე ჩუმად ჯდომა არ შეუძლია იმიტომ, რომ მიჩვეულები არიან ტელეფონებს, გაჯეტებს, თამაშებს. საგაკვეთილო პერიოდი შეიძლება იყოს ნახევარი საათი. ძალიან მნიშვნელოვანია დასვენების მენეჯმენტი. ის, რომ ბავშვმა მუდმივად რაღაც უნდა ისწავლოს, დაწეროს, დაიზეპიროს, მისთვის ძალიან დიდი სტრესია და ამ სტრესის მართვა თუ არ იცის, მათზე ჩვენ თვითონ ვძალადობთ უკვე. აქედან გამომდინარე, მიზეზები ჯერ საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ და იმ რგოლში, რომელსაც აქვს ვალდებულება და პასუხისმგებლობა, მართოს ეს გარემო, საგანმანათლებლო იქნება თუ სხვა სივრცე. ძალადობა რომ გვიკვირს მოზარდებში, რატომ არ ვსაუბრობთ, იგივე საბავშვო ბაღებში რომ ძალადობაა?! წარმოიდგინეთ, სამი ან თუნდაც ხუთი წლის ბავშვები 3 საათის განმავლობაში, უმრავლეს ბაღში სხედან და მათთვის არ შეიძლება ისეთი ბუნებრივი რამ, როგორც არის თამაში. თვითონ ზრდასრულები იმყოფებიან სტრესში, სოციალურ-ეკონომიკურ, თუ სხვა ტიპის, შემდეგ ამ უარყოფით ენერგიას გადასცემენ სხვას. ჩვენ ირგვლივ ყველაფერი ნეგატივზეა აგებული, ნათელ სხივებზე არ არის ორიენტირებული პედაგოგი. ბავშვი კარგ მოქმედებას რომ განახორციელებს, არც ვაქცევთ ყურადღებას, მხოლოდ ნეგატივზე ვაკეთებთ აქცენტს. მე ზრდასრულებზე ვაკეთებ აქცენტს და ბავშვები ჩემთვის სარკეები არიან იმ გარემოსი, სადაც იზრდებიან და მოქმედებენ. უნარი - გარკვეული პრობლემა გადაჭრას კომუნიკაციის გზით, ბევრს არა აქვს! ემოციურობა, ფეთქებადობა, ეს ყველაფერი მოდის ზრდასრულებისგან.

**- მოსწავლეების მშობლები მიიჩნევენ, რომ სკოლა სულ უფრო საშიში ადგილი ხდება... რა შეიძლება ვურჩიოთ მათ?**

- სკოლები განსხვავდება. არის საჯარო და კერძო სკოლები. პროგრამულად კერძო და საჯაროც ერთნაირად გადის პროგრამას, არ არის განსხვავება, ორივე განათლების სისტემას ექვემდებარება. სხვაობა არის კლასში მოსწავლეების რაოდენობაში. მაგალითად, ერთ სკოლაში მინიმუმ, 600 ბავშვია, ერთი ფსიქოლოგი და ერთი სოციალური მუშაკი, ესეც მიზერულია, საშტატო ერთეულების და სპეციალისტების გადანაწილებაც რისკის ქვეშ დგას და ძალიან მძიმე მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე, აღარაფერს ვამბობ თავად პედაგოგების გადაღლასა და პროფესიულ გადაწვაზე. უფრო მეტი სარისკო გარემოებები არსებობს, რომლებსაც მივყავართ იქამდე, რომ ვფიქრობთ, სკოლა შეიძლება იყოს საშიში ჩემი შვილისთვის. სიმართლე გითხრათ, მირჩევნია ჩემი შვილები იყვნენ ფსიქოლოგიურად ჯანმრთელები, ვიდრე ყველა საგანში ჰქონდეთ 10 ქულა და წარმატებაზე იყვნენ ჩამოკიდებულები. პროფესიას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია იყოს ბედნიერი. სკოლაში არ ისწავლება პროფორიენტაცია, არავინ გაძლევს ცოდნას, თუ სად, რომელ მიმართულებაში შეგიძლია, გამოიყენო შენი ძლიერი მხარეები და საგნობრივი ცოდნა. ჩვენი გარემო და ცხოვრება არ არის უსაფრთხო... მთავარია სკოლამ მისცეს ის საჭირო ფსიქოლოგიური, ემოციური და სოციალური უნარები, რომ მერე ბავშვმა შეძლოს დამოუკიდებლად და პასუხისმგებლობით მიიღოს გადაწყვეტილებები. რობერტ კიოსაკი ამბობს, სკოლაში, უნივერსიტეტში და ყველა სივრცეში გვასწავლიან ყველაფერს, გარდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამისა, როგორ ვიშოვოთ ფული! არადა, ამაზე დგას მთელი სისტემა და სახელმწიფო. ბავშვებს ყველაფერს ვთხოვთ ყველა საგანში, ყველაზე მთავარს და მნიშვნელოვანს არ ვასწავლით. კარლ გუსტავ იუნგი იყო შვეიცარიელი ფსიქიატრი, რომელმაც თქვა, რომ ყველაზე რთული და ყველაზე მძიმე, რაც შეიძლება ბავშვს დააწვეს, ეს არის მშობლების შეუმდგარი ცხოვრება, როდესაც თვითონ არ არიან რეალიზებულები და ბავშვისგან ითხოვენ რეალიზებულ პიროვნებად ყოფნას. ჯერ შენ მიეცი მაგალითი! აი, ასეთი არაჯანსაღი მიდგომები ქმნის კონფლიქტებსაც, სტრესსაც, ემოციურ დაძაბვასაც და კიდევ აღზრდის სტილი. საგანმანათლებლო სივრცეში საკმარისია დროც და რესურსიც, რომ იყოს ეს ყველაფერი, გაკვეთილების დრო შემცირდეს, აქტივობები კი დაემატოს. ფსიქოლოგიური და ემოციური უნარების დასწავლა მნიშვნელოვანია, სკოლამ ბავშვი ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს. თქვენ იცით, რომ ბავშვების 45% ფიზიოლოგიურად და ფიზიკურად შიმშილის ზღვარზეა?! ყველაზე ბოლოს უნდა მივიდეთ ბავშვების პასუხისმგებლობასთან. ჯერ ზევიდან უნდა დავიწყოთ, მაგალითი უნდა ჰქონდეს ბავშვს, რა არის ჯანსაღი გარემო, უსაფრთხოება და სხვა. ყველა სფერო არის პოლიტიზებული! იმდენი ფაქტორია, რომ მივყვე ზევიდან ქვევით, ბავშვების თემამდე შეიძლება ვერც ჩავიდე. ელემენტარულად, შეიძლება მშიერია ბავშვი და ამის გამო არის გაღიზიანებული. შიმშილი არის ბაზისური მოთხოვნილება. ბავშვს როდესაც შია, რაში აინტერესებს რომელიმე საგანი ან პლანეტები? რატომ არ არის ერთჯერადი კვება სკოლებში? დათვლილია, 1,80-2 ლარამდე ჯდება ერთი ბავშვის გამოკვება, მცირე ულუფა, რომელიც მის მდგომარეობას გააუმჯობესებს, ამიტომ სახელმწიფომ აიღოს პასუხისმგებლობა და მიხედოს პირველადი საკითხების მოგვარებას, სკოლა არის ფსიქოლოგიური, ემოციური და სოციალური კეთილდღეობის გარემო. ყველას თავისი ფუნქცია-მოვალეობები აქვს, ჩვენთან კი გადაბრალების რეჟიმშია ყველა. მშობელი - სკოლას, სკოლა - სამინისტროს, სამინისტრო - სხვას, ასე, წრეზე, გადაბრალების რეჟიმში ვართ.

**- დაბოლოს, ძალადობის თავიდან აცილების და დაძლევის რა გზები არსებობს?**

- სკოლა არის საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფოს. განათლების სამინისტროში მკაფიოდ უნდა იყოს პრინციპები გაწერილი - როგორ ვმოქმედებთ, რა სტრატეგიები გვაქვს ძალადობასთან მიმართებაში და ა.შ. მნიშვნელოვანია, ასევე, სპეციალისტებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, ვინც მუშაობს ბავშვებთან, ამ სპეციალისტებთან მუშაობაც საჭიროა. შემდეგ უკვე ფიზიკური გარემო როგორია, ფერები, ინფრასტრუქტურა. არ უნდა იყოს სკოლა მხოლოდ გარედან შეღებილი და შიგნით ჰგავდეს ციხეს. უნდა შემუშავდეს შიდა მართვის, ადმინისტრაციული სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მიდგომები სკოლის, კლასების და ასაკის მიხედვით. ეს არის პრევენცია. შემდეგი ეტაპია მშობლებთან მუშაობა. სკოლაში მულტიგუნდური მიდგომის ჩამოყალიბება, პოზიტიური გარემოს შექმნისთვის მუშაობა, რაშიც მშობელი, მოსწავლე, პედაგოგი - ყველა უნდა იყოს ჩართული. ერთობლივი, თანასწორობაზე ორიენტირებული სოციალური გარემოს შექმნა შეამცირებს რისკებს. პირადი გამოცდილება მაქვს, 20 წელია, ამ საქმიანობაში ვარ, კარგად ვიცნობ ბავშვებს, ვიცი სკოლა, ძალიან ბევრი პრევენციული ღონისძიების გატარება შეიძლება, მაგრამ ამისათვის ზრდასრულები უნდა იყვნენ პასუხისმგებლობით აღსავსე და ჯანსაღი ღირებულებების მქონე, უპირველეს ყოვლისა. ზევიდან უნდა დავიწყოთ ფიქრი და ქმედება. როდესაც ჯანსაღ გარემოს დაინახავენ ბავშვები, ისინი სწორ მიმართულებას აირჩევენ.

# „მე სრულიად საქართველო ვარ“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***ამ სიტყვების თქმის უფლება ნამდვილად აქვს აფხაზი მუჰაჯირების პირდაპირ შთამომავალს, ძირძველ ბათუმელს, ბათუმის საპატიო მოქალაქეს, ცნობილ მწერალ ანზორ კუდბას, რომლის შინაარსიანი, საინტერესო ცხოვრება და შემოქმედება საზოგადოების პატივისცემას იმსახურებს. ამჯერად, საზოგადოების ყურადღება „აფხაზეთის დღეების“ აღსანიშნავ ღონისძიებებში თავისი აქტიურობითა და პოზიციით მიიპყრო***

*როგორ ხედავს ის ქართულ-აფხაზური პრობლემის გადაწყვეტის გზებს, რა სიახლეა მის შემოქმედებაში და რა გზავნილებს უგზავნის მკითხველებს? - სწორედ ამის გარკვევა იყო ჩვენი საუბრის მიზანი.*

**- ბატონო ანზორ, მას შემდეგ, რაც ჩვენს გაზეთს სტუმრობდით, დიდი დრო გავიდა: პანდემიის პერიოდიდან დაწყებული - დღემდე. რას გვეტყვით ამ ჩავლილ დღეებზე?**

- ის პერიოდი, მართლაც, ჭირივით მოიხადა კაცობრიობამ. სად აღარ შეაღწია მისმა მომაკვდინებელმა საცეცებმა და მოასორომგორომა ჩვენი ცოდვილი სააქაო. აბა, ვის აღარ დაატყდა თავს კოვიდ-19-ის რისხვა: ზოგს სმენა დააკლდა, ზოგს - მხედველობა, ზოგს - პირის გემო, მაგრამ იმედი მაინც ვერ ჩაგვიკლა სულში. დიდი იყო მსხვერპლი, ლამის გაუგონარი, მაგრამ ამ ავადსახსენებელმა ვირუსმა მოითავა თავისი საქმე და გარდაიცვალა თვითონ. კაცობრიობამ, დედამიწამ გაიღო თავისი მსხვერპლი და სენიც დაგვეხსნა.

**- თქვენი ადრე გამოქვეყნებული რომანები „აპოკალიფსი“, „უჟამო ჟამი“, „ფიქრის სავარძელი“, „დიდი წვიმის სიმფონია“ დღევანდელ რეალობას გვაჩვენებს. იწინასწარმეტყველეთ?**

- როგორ გითხრათ... ყველა დიდი ნაწარმოების ავტორი თავისთავად ნათელმხილველია, თავად ნაწარმოები - წინასწარმეტყველური. თუკი მწერალმა თავისი აწმყო ზედმიწევნით აღწერა, ეს იგივეა, დაეხმარო მკითხველს, რომ მომავალში შეიჭვრიტოს. დიდი მწერლები დროში მოგზაურობდნენ, სივრცე მათ არ აბრკოლებდათ. ბევრი წინასწარმეტყველი ჰყოლია კაცობრიობას. წინასწარმეტყველები იყვნენ ჰომეროსი, რუსთაველი, პლატონი, დანტე ალიგიერი, გოეთე...

**- როგორც თქვით, ახალი რომანი დაგიწერიათ, მკითხველი როდის და სად იხილავს მას?**

- რამდენიმე ნაწარმოები, უკვე დასაბეჭდად გამზადებული, ხელშეუხებლად მიდევს და თავის დროს ელის. ერთიც - „ჩემი საუფლოდან“ „ჭოროხშია“ და გამოქვეყნებაღაა საჭირო. ჩემს სხვა გამოუქვეყნებელ რომანებსაც ჩამოგითვლით: „იქმენინ ნათელი“ („იყო და არა იყო რა“), „დიდი მდინარება“, „...და დრო გვეუარესა“..., „ჭვათირის წყალი“, „გლახა“ (რეკვიემი), „ჟამთაამღწერელი“. დღეს დასაბეჭდად ვამზადებ კიდევ ერთ რომანს: „და იყო აზორ...“ როდის იხილავს ამ ნაწარმოებებს მკითხველიო? - მეკითხებით და არ ვიცი, რა გიპასუხოთ. მისი აღმატებულება სპონსორი არ ჩანს... ასე რომ, ცნობილ მწერლებსაც უნდა ჰქონდეთ იღბალი, თავი ღირსეულად რომ წარმოაჩინონ.

**- „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ - ეს სლოგანი ამ დღეებში აფხაზეთის ტრაგედიის 30 წლისთავზე მედიასივრცესა და საზოგადოებაში ხშირად ისმოდა. თქვენ, როგორც აფხაზობის წარმომადგენელი, როგორ ხედავთ ქვეყნის მომავალს აფხაზეთთან დაკავშირებით?**



- მე იმ აფხაზი მუჰაჯირების პირდაპირი შთამომავალი ვარ, ვინც რუსმა დამპყრობლებმა აგვყარეს და მოგვწყვიტეს მშობლიურ მიწას. ვინ სად დამკვიდრდა? ერთი ნაწილი აჭარამ შეგვიფარა, სარჩო-საბადებელი გაგვიჩინა. ამას რა დაგვავიწყებს?! ახლა აქ, აჭარაში ვსახლობთ და, პოეტ მამია ვარშანიძის არ იყოს, „მზე აქ შეგვიჩერებია“, ასე რომ, გავშინაურდით აჭარაში და, როგორც ბევრი სხვა, მეც შერეული ოჯახიდან ვარ - მამა აფხაზი მყავდა, დედა კი ქართველი, ამიტომაც ვაცხადებ ხმამაღლა: მე სრულიად საქართველო ვარ და, რაღა თქმა უნდა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, სწორედ რომ საუკუნის ტრაგედია, ჩემთვის ორჯერ უფრო ძნელად გადასატანი დარჩა: აფხაზს კლავდნენ და ჩემში აფხაზი კვდებოდა, ქართველს კლავდნენ და ქართველი კვდებოდა ჩემში. 27 სექტემბერს, აფხაზეთის ტრაგედიის 30 წლისთავზე, ბათუმის ნავსადგურის მიდამოებში შევიკრიბეთ აფხაზები და ქართველები. გვყავდა სტუმრები თბილისიდან. პატივი მივაგეთ ძმათამკვლელ ომში დაღუპულთა ხსოვნას. დღეს უკვე ნათელია ყველასათვის: სანამ არ შევრიგდებით ოდითგანვე სისხლისმიერი ძმები - აფხაზები და ქართველები, მანამდე მომავალი არცერთს არ გვიწერია. საქართველო უაფხაზეთოდ და აფხაზეთი უსაქართველოდ ყოვლად წარმოუდგენელია! ეს უნდა გავაცნობიეროთ ორივე მხარემ.

> ***„მე იმ აფხაზი მუჰაჯირების პირდაპირი შთამომავალი ვარ, ვინც რუსმა დამპყრობლებმა აგვყარეს და მოგვწყვიტეს მშობლიურ მიწას. ვინ სად დამკვიდრდა? ერთი ნაწილი აჭარამ შეგვიფარა, სარჩო-საბადებელი გაგვიჩინა. ამას რა დაგვავიწყებს?! ახლა აქ, აჭარაში ვსახლობთ და, პოეტ მამია ვარშანიძის არ იყოს, „მზე აქ შეგვიჩერებია“***

**- როცა ისტორიის სამანებში მოგზაურობთ...**

- ჩვენი სულმნათი სულხან-საბა ორბელიანი ევროპისკენ გაეშურა, რათა საერთო ქართული გასაჭირის შესახებ ეცნობებინა საფრანგეთის დიდი მეფის ლუდოვიკო მეთოთხმეტისათვის, რომ შეძლებისამებრ დაგვხმარებოდა, მფარველობა გაეწია ჩვენთვის, მაგრამ ლუდოვიკომ სულხან-საბას ნახვაც არ ინდომა. სულხან-საბამ თავისი ისტორიული მისიის განსახორციელებლად კათოლიკობაც კი მიიღო. ხომ განწირული იყო თვითონ სულხან-საბა, ასე განწირული გახლდათ საქართველოც. სამშობლოში მობრუნებული სულხან-საბა თანამოძმეებმა აღარ დაინდეს, სულ თმებით ათრიეს, მართლმადიდებლობა დაგიტევებია და ჩვენთვის საძულველი კათოლიკობა მიგიღიაო. ტიროდა სულხან-საბა, ცრემლებად იღვრებოდა არა იმიტომ, რომ ტკიოდა, არამედ იმიტომ, რომ მთელი მისი მცდელობა, ეშველა თავისი დაცემული და მიწასთან გასწორებული მამულისთვის, ამაო გამოდგა. ტიროდა სულხან-საბა და... დღესაც, დღესაც გვაწვიმს მისი ცრემლები... მერე იყო მეფე ერეკლე მეორე... ოთხმოცი ბრძოლა გადაიხადა ერეკლე მეფემ და მიხვდა, რომ საქართველო აწი ვეღარ გაუმკლავდებოდა აღმოსავლეთიდან მომხდურ მტერს და მფარველობა რუსეთს სთხოვა. მერე მატიანე მოგვითხრობს, რა გვჭირდა და გვიჭირდა სინამდვილეში. ხომ არ გეცნობათ, ხალხნო, ერეკლესდროინდელი საქართველოს ყოფა? ხომ არ ჩამოჰგავს იგი ჩვენს დღევანდელობას? დღესაც ბეწვის ხიდზეა შემდგარი საქართველო და... ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი... დიახ, დღესაც გვაწვიმს საბას ცრემლები.

**- თქვენ კარგად იცნობდით სახელოვან მწერლებს, მოიგონეთ რამდენიმე გამორჩეული, როგორები იყვნენ რეალურ ცხოვრებაში?**

- დიახ, იყვნენ, ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამორჩეული ადამიანები. თვალწინ მიდგას ალექსანდრე (ალი) სამსონია - პროზაიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ბათუმში მოქმედი აკადემიის (აჭარის ინტელიგენციის, საფიხვნოს) სულისჩამდგმელი. აკადემიაში, როგორც დღეს, მაშინაც „ჭიქა ყავაზე“ ვბჭობდით ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე... ზურაბ გორგილაძე! - ჭეშმარიტი პოეტი. მისი სახელი უკვე ქუხდა სრულიად საქართველოში. „ოჰოი, ნანა“ ხომ შედევრია და აჭარის ჰიმნად იქცა. ხომ დიდი პოეტი იყო ბატონი ზურაბი, მაგრამ ყოველთვის უჭირდა მატერიალურად. ერთი მეგობარი ჰყავდა - დემურ ტყეშელიაძე, ჩვენი აკადემიის ნამდვილი წევრი, სწორედ რომ გაჭირვების ტალკვესი იყო ჩვენი მწერლებისთვის. ჰოდა, ერთხელ ჩვენს ზურაბს პაემანი ჰქონდა ერთ ტურფა ასულთან, მაგრამ საპაემნოდ შესაფერისი ტანსაცმელი სად უნდა ეშოვნა „საბჭოთა პოეტს“?! მშველელად დემურ ტყეშელიაძე გამოუჩნდა: ჩააცვ-დაახურა ჩვენს ზურაბს. აკადემიის კიბეზე რომ ჩადიოდა პაემანზე მიმავალი, მართლაც, დენდი ზურაბი, დემურის ხმა გაიგონა: - ზურაბავ, ვინმემ დემური რომ დაგიძახოს, უკან არ მიიხედოო... ჰო, ეს ნამდვილად ასე იყო... იყვნენ ფრიდონ ხალვაში, მამია ვარშანიძე, ლადო სეიდიშვილი, რომლებიც ასე ამშვენებდნენ ჩვენს ბათუმ-ქალაქს - წვიმიან მზიანეთს. იყო ჩვენში კიდევ ერთი ცნობილი პერსონა - ბატონი არჩილ ტოტოჩავა - „ოტეცას“ ვეძახდით ახლობლები. სწორედ რომ ცოცხალი, მოსიარულე ენციკლოპედია გახლდათ. იცოდა ყველაფერი... უყვარდა პოეზია და იყო კიდეც პოეტური სულის მატარებელი, ამაღლებული კაცი! წერდა ლექსებს, მაგრამ არ აქვეყნებდა. შევუჩნდით ერთხელ და ჟურნალ „ჭოროხში“ გამოვაქვეყნებინეთ ლექსების ციკლი „ზღვის ნაპირზე აკრეფილი კენჭები“. „ჭოროხშივე“ დაიბეჭდა შილერის ფილოსოფიური წერილების მისეული თარგმანი გერმანულიდან. სწორედ რომ დიდებული მექართულე იყო ბატონი არჩილი. სტილისტი გახლდათ გაზეთ „აჭარაში“.

**- რა აზრის ხართ თანამედროვე კონკურსებსა და ფესტივალებზე?**

- ამ კონკურსებსა და ფესტივალებზე მონაწილეობისას შეიძლება შორს გავიტანოთ ჩვენი შემოქმედება, ღირსეულადაც შეგვაფასონ და გვაღიარონ, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურები ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებებში ზედმეტად არ უნდა ერეოდნენ. მათი დიქტატი სულაც არ გვეპიტნავება მწერლებს. ჩვენ მათი დახმარება გვჭირდება და არა მათი ჭკუის დარიგება-სწავლება.

**- პროზაიკოსების ახალი თაობა მოდის, მათ შორის ბათუმშიც, თქვენი ყურადღება ვინ მიიპყრო?**

- ბათუმი და ჩვენი გარემო, საერთოდ, უფრო პოეტურია, ვიდრე პროზაული, თუმცა გამოჩნდებიან მაინც პროზაიკოსები, პროზაში თითო-ოროლანი თუ რჩებიან... რომელმა მიიპყრო ჩემი ყურადღება? - მზია სალვარიძემ! წაიკითხეთ მისი ორი წლის წინ გამოქვეყნებული წიგნი „არ გადაგვქართულდა“ და დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სისწორეში. წარმატებას ვუსურვებ მზია სალვარიძეს! აქ მკითხველის საყურადღებოდ ასე ვიტყოდი: მზია სალვარიძის პროზაში პოეტი შეიგრძნობა და ეს მახარებს და მეიმედება. და კიდევ: „შარაგზაზე დაოთხილი (მორბენალი) სტრიქონი, თუკი მას ლექსის სუნი არ ასდის, მალე გადაიღლება და სადმე, სადღაც დასაკარგავში დაიმარხავს თავს“ - ასე ბრძანებს დიდი იაპონელი მწერალი რიუნოსკე აკუტაგავა „პროზის ათ მცნებაში“.

**- „რამეთუ მშვიდი ვარ და მდაბალი გულით“... როცა ამ სახარებისეულ სიბრძნეზე ფიქრობთ...**

- ეს ამონარიდი სახარებიდან საყოველთაოდ მშვიდობისა და სიყვარულის საწინდარია, ადამიანთა მოდგმის ამაღლებას მოასწავებს, მის უსასრულობასთან შერთვას, უკვდავებასთან ზიარებას. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ - ადამიანები დედამიწის შვილები ვართ, ცისიერი იერიც დაგვკრავს... სწორედაც რომ დედამიწელები ვართ ზეციური სიწმინდით მირონცხებულნი.

**- კატაკლიზმების დროში ვცხოვრობთ, სტიქიური და სოციალური უბედურების ფონზე ადამიანისთვის მთავარ მაშველ რგოლად რა გესახებათ?**

- ჩვენ, ადამიანები, ღვთის შვილები ვართ, ძველი აღთქმაც მარადის შეგვახსენებს, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და სახებად და რატომ გვავიწყდება ბიბლიური შეგონება „გიყვარდეს მოყვასი შენი!“ ან კიდევ: „ერთ ლოყაზე რომ შემოგკრან, მეორე ლოყაც მიუშვირე!“ უნდა გვახსოვდეს, ადამიანო, შენი უბედურება ჩემი უბედურებაცაა, შენი ბედნიერება - ჩემი! მოვიშველიოთ ეს შეგონება და ვერავითარი კატაკლიზმა და სენი ვერ მოგვერევა! ღმერთისკენ... უფლისკენ მიმავალ გზას შენივე გული მიგაგნებინებს. მიენდე გულს და სულიც გიწინამძღვრებს.

**- კიდევ რას გვეტყოდით, რა კითხვის დასმას ისურვებდით?**

- ადამიანი (ბიბლიაც ასე უბნობს) ოდითგანვე სცოდავსო და თავსაც ასე ვიმშვიდებთ: ცოდვებიო... და ისევ ვცოდავთ. და მაინც: როდემდე უნდა ვცოდოთ, ადამიანებო, და არ ვინანიებდეთ?! ხედავთ, უფალი მიმტევებელია და ჩვენ - ადამიანებმა რატომ ვერ უნდა მივუტევოთ ერთმანეთს?!

# „მე ის ვარ, რაც ვარ, და კმაყოფილი ვარ“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***მიიჩნევს: იყო ხელოვანი ნიშნავს, თვალი გაუსწორო რეალობას და ხმამაღლა თქვა შენი სათქმელი, რომელიც შეიძლება ბევრისთვის სულაც არ იყოს მოსაწონი, მაგრამ საკუთარ თავთან იყო მართალი, ემოციებთან, რომლებისგანაც თუ არ გათავისუფლდი, შემდგომ მუდმივად შეგაწუხებს სინდისის ქენჯნა, რომ დააგვიანე, რომ შენ შეგეძლო და დაიღალე, ნიჰილიზმის განცდას მიეცი საშუალება, უფრო მძლავრად ყოფილიყო შენში, ვიდრე უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ჟინს***



*გაზეთ „აჭარის“ სტუმარია მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი* ***ოთარ ქათამაძე,*** *რომელიც მუდმივად ცდილობს ბათუმისთვის, იმ ქალაქისთვის, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად გრძნობს, შექმნას ღირებული, მიიღოს ზღვა ემოცია და სხვებსაც გაუზიაროს გამოცდილება, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებით დაუგროვდა.*

**- ყველაფერი თავიდან რომ იწყებოდეს, რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?**

- რთულია ამ შეკითხვაზე უნივერსალური პასუხის მოძებნა. ყველა სფეროში რაღაცას შევცვლიდი, ბევრს - არა, ცოტას. სინამდვილეში ბევრი რამ მომწონს ჩემს ცხოვრებაში, ხოლო ის შეცდომები, ტრავმები და ტკივილი, რაც იყო, გარდაუვალია. ვფიქრობ, სხვა ცხოვრება რომ მქონოდა, სხვა ბარიერები მექნებოდა, შეიძლება უარესიც ყოფილიყო. ყველა ადამიანს თავისი განვლილი გზა (პოზიტივითა და ნეგატივით) აყალიბებს პიროვნებად. მე ის ვარ, რაც ვარ და... კმაყოფილი ვარ. ბევრჯერ მიოცნებია სამყაროს შეცვლაზე, რამე სუპერძალის ქონაზე, რითაც მთელ დედამიწას შევარიგებდი, დავასრულებდი ამ გაუთავებელ ომებსა და ტრაგედიებს.

**- ამ სამყაროში მოვედი, რათა...**

- ვაკეთო, რასაც სხვებს გავუზიარებ. ამიტომაც ავირჩიე ხელოვნების გზა, მინდა, ყველას გავუზიარო ჩემი შემოქმედება. მინდა, ვაკეთო ისეთი რამ, რაც ადამიანებს ოდნავ მაინც დააფიქრებს სხვადასხვა პრობლემაზე. შემოქმედება სათქმელის გარეშე არაფერია, ამიტომ მეც სულ მინდა, ხმამაღლა ვთქვა, რაც მაწუხებს, რაც მიხარია თუ მტკივა.

**- იყო ხელოვანი, ნიშნავს...**

- იცხოვრო 1000 სიცოცხლით, ყოველ ჯერზე თავიდან დაიბადო და მოკვდე... ყოველ ჯერზე განიცადო ყველა გრძნობა და, რაც მთავარია, იყო ყველაზე ცოცხალი, ყველაზე აქტუალური, ყველაზე გულწრფელი საკუთარი თავის, საქმისა და საზოგადოების წინაშე. იყო ხელოვანი ნიშნავს, გრძნობდე სამყაროს, არ გერიდებოდეს სიმართლის თქმის, იყო თავისუფალი და უმთავრესი - იყო ჰუმანური, გიყვარდეს ადამიანი.

**- რა გამოწვევების წინაშეა ხელოვნება და კულტურა დღეს საქართველოში?**

- ხელოვნებას ებრძვიან, უნდათ მისი დამორჩილება. ბოლო მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ეს უკვე გამოცხადებული ომია. დღეს ორმაგი ძალებით უნდა ვიბრძოლოთ. წინა შეკითხვაზე ჩემი მოსაზრება გამოვთქვი, თუ რას ნიშნავს იყო ხელოვანი. ახლა მცირე კორექტივას შევიტან და დავამატებ: დღეს საქართველოში იყო ხელოვანი, ასევე ნიშნავს, იყო მეომარი, რათა დაიცვა თავისუფლება ხელოვნებაში. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს დაიცვა ქვეყანა უზურპაციისგან და დიქტატისგან. აქვე ვიტყვი, რომ ეს ომი წაგებული აქვთ, რასაც მალე ვიხილავთ.

იხ. მე-7 გვ.

# ვეტერანი სამხედრო მოსამსახურე – რეჟიმის კიდევ ერთი მსხვერპლი

*მახალაკიძეებელი ოთარ ბერიძე 58 წლისაა. მან თითქმის მეოთხედი საუკუნე ჯარში სამსახურს შეალია. ნამსახურები წლების მიხედვით პენსიაზე გასვლას 6 თვეღა აკლდა, როცა მიხეილ სააკაშვილისა და მისი რეჟიმის მიმდევრებმა ყოველგვარი არგუმენტისა და დასაბუთების გარეშე სამსახურიდან დაითხოვეს. დღეს ის ჩვენი გაზეთის სტუმარია*

- თავის დროზე არა მარტო შუახევის რაიონში, არამედ მთელ აჭარაში მახალაკიძეებელი ჭაბუკები ჯარში სამსახურისთვის თავს ვდებდით. თანატოლების მსგავსად, მეც 1989 წელს ამ გზას დავადექი.

**- მაშინ საბჭოური რეჟიმი მოქმედებდა...**

- არ გედავებით, ასე იყო. ჩემი და სხვა თანასოფლელი ჭაბუკების ამ ნაბიჯს ეკონომიკური ფაქტორიც განაპირობებდა. ხელფასი, სამუშაო პირობები კარგი იყო. უკვე დაოჯახებულიც ვიყავი. სადაც იმსახურებდი, ბინითაც უზრუნველყოფილი იქნებოდი. თანაც, ამ წლებში ადგილობრივებს საქართველოსა და თუნდაც აჭარის ტერიტორიაზე მსახურების ნებას გვრთავდნენ. შორს წასვლაც არ მომიხდა - სამსახურებრივი საიდუმლოების გამო, სასაზღვრო საგუშაგოსა და სამხედრო ნაწილს არ ვასახელებ. მეუღლე ნაზი ფუტკარაძეც იმ საგუშაგოზე მსახურობდა, სადაც გამამწესეს.

**- საქართველოს ტერიტორიიდან გასულ რუსულ საჯარისო ნაწილებს მრავალი ქართველი თან გაჰყვა...**

- მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანების კატეგორიას, ფულისა და სიხარბის გამო ეროვნულობას ზურგს რომ აქცევენ. 1989 წლის 1 მაისს, როცა რუსული საჯარისო ნაწილი ხიჭაურიდან გავიდა, ქართულ ჯარში სამსახურს ხელი მოვაწერე. ეს გადაწყვეტილება სამშობლოს სიყვარულით მივიღე. ყველას, და მეც, კარგად გვახსოვს ის გაუსაძლისი წლები, რომლებიც ქვეყანამ და ქართულმა ჯარმა გამოიარა. არც ნორმალური ჩაცმა იყო, მესაზღვრეების კვებასა და ბინით უზრუნველყოფაზე საუბარიც ზედმეტია. დიდი რისკის ფასად ყველაფერს ვიტანდით, ქვეყნის საზღვარსაც ვიცავდით. რუსული ჯარი გავიდა თუ არა, უმალვე საზღვრის დამრღვევებმა ჩვენი პოლიტიკური სიფხიზლის გამოცდა სცადეს. არავინ დავინდეთ, მათ შორის აფრიკის ქვეყნებიდან წამოსულებიც.



**- „ვარდების რევოლუციას“, საწყის ეტაპზე, ყველგან ცვლილებები მოჰყვა, მათ შორის ქართულ ჯარშიც...**

*„ბრძოლის ველიდან არავინ გაქცეულა. დამთავრდა ომი, ზოგიერთებმა, ბრძოლის ველზე ჯარისკაცები ბედის ანაბრად რომ დატოვეს, ბრალდებები რომ გაექარწყლებინათ, სხვებს, მათ შორის აჭარიდან მობილიზებულებს, ტალახი შეახოცეს. მრავლის დაცვა მეც მომიხდა. საბოლოოდ, რეგიონის მაშინდელი ხელმძღვანელის ჩარევით, ყველანი ტრიბუნალს ასცდნენ*

- მე უკვე უმცროსი ოფიცრის ჩინით ახალ პოზიციაზე გამამწესეს. 6 წელი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ვიმუშავე. მაშინ დავუახლოვდი იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც ქართული ჯარის მართვის სადავეები ხელთ ეპყრათ. გარკვეული პერიოდი სენაკშიც ვიყავი. საწყის ეტაპზე ნორმალური ურთიერთობები მქონდა ახალაიებთან. როგორც გამოცდილი ოფიცერი და ჯარის საქმიანობის კარგი მცოდნე, სათანადო ავტორიტეტით ვსარგებლობდი. ხშირად რიგითი ჯარიკაცების ინტერესების დამცველიც ვიყავი. რამდენიმე მათგანს სიცოცხლეც შევუნარჩუნე.

**- რა პოზიციაზე იყავით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს?**

- საბრძოლო შენაერთი, რომელშიც ხელმძღვანელი პოსტი მეკავა, პირველი შევიდა ცხინვალში. იქაურობა ლაჩრულად არ დაგვიტოვებია. კიდეც დამჭრეს. დაჭრილს სათანადო ყურადღება არ მქონია. სამკურნალო კურსის გავლის შემდეგ ისევ იმ ნაწილს დავუბრუნდი და იმავე პოზიციაზე დავიწყე მუშაობა, რაც ომამდე მეკავა.

**- რამდენად სამართლიანი იყო ის ბრალდებები, რომლებიც აჭარიდან ქართულ ჯარში მყოფ ჯარისკაცებს ომის შემდეგ წაუყენეს?**

- ცრუ ბრალდებები, არაარგუმენტირებული დასმენები იმ რეჟიმისთვის უცხო არ იყო. მაშინ ქართულ ჯარში მარტო შუახევიდან 900-ზე მეტი ჭაბუკი ირიცხებოდა. უმრავლესობა საომარ პროცესებში იყო ჩართული. მარტო მახალაკიძეებიდან 45-ზე მეტი ადამიანი ვმსახურობდით ქართულ ჯარში. ბრძოლის ველიდან არავინ გაქცეულა. დამთავრდა ომი, ზოგიერთებმა, ბრძოლის ველზე ჯარისკაცები ბედის ანაბრად რომ დატოვეს, ბრალდებები რომ გაექარწყლებინათ, სხვებს, მათ შორის აჭარიდან მობილიზებულებს, ტალახი შეახოცეს. მრავლის დაცვა მეც მომიხდა. საბოლოოდ, რეგიონის მაშინდელი ხელმძღვანელის ჩარევით, ყველანი ტრიბუნალს ასცდნენ. ჩემი სამსახური ჩვეული განაწესით მიდიოდა.

**- რის საფუძველზე დაგითხოვეს?**

- სამსახურებრივ პენსიაზე გასვლას 6 თვე მაკლდა და... ერთ დღესაც ხელში ბრძანება შემომაჩეჩეს, რომ დათხოვნილი ვიყავი ქართული ჯარის რიგებიდან, თანაც უკვე მაიორის წოდებით. ეს იყო 2011 წელს.

**- ერთი წლის შემდეგ ამომრჩეველმა იმ რეჟიმს განაჩენი გამოუტანა. რატომ არ სცადეთ აღდგენა?**

- 4 შვილის მამა, 6 შვილიშვილის მომსწრე მათ მომავალზე ვზრუნავ. არ მინდოდა მოდავე, ერთი ინსტანციიდან მეორეში მორბენალი კაცის სახელი, თუმცა მრავალი მაგულიანებს, რომ საქმეში ჩავრთო შესაბამისი უწყებები და სასამართლომდე მივიდე. მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ საქმესა და სამსახურში ხინჯი ამ მქონია.

**- ალბათ, თქვენი საქმიანობა ბევრს მივიწყებული ექნება...**

- მეც ასე ვფიქრობდი, თუმცა ვცდებოდი - „ვეტერანის დღეს“ შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მახალაკიძეებში მამისეულ კერაზე მომაკითხეს და სიმბოლური საჩუქრით გული გამიხარეს.

**- ცოცხალმა ადამიანმა თავი უნდა ირჩინოს და სხვებსაც ხელი წაახმაროს.**

- როცა ვლადიმერ და აკაკი მახარაძეების მსგავსი მეზობლები და მეგობრები გყავს, განწირული არ ხარ. საქმეს არ გავურბივარ, სოფელსაც არ ვაუქმებ. ვაჟი მეზღვაურია, ისიც მეხმარება. სტუმარს ვლებულობ, მოყვრებსა და მეგობრებს გულს ვუხარებ.

**- როგორც ვეტერანს, თანამედროვე ქართულ ჯარზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- ჯარი ზედმეტ ჩარევას, ბიუროკრატიულ მიდგომას ვერ იტანს, რასაც ამ ეტაპზე ვერ ვამჩნევ. საზღვარს - დაცვა, ქვეყანას შეიარაღება უნდა, რასაც ქვეყნის ახლანდელი ხელმძღვანელობა წარმატებით წარმართავს. ისინი არც მათ ამაგს ივიწყებენ, ვინც ეროვნული არმიის წინსვლაში წვლილი შევიტანეთ.

# აჭარის მთიანეთში სარწყავი არხების რეკონსტრუქცია გრძელდება

*რამდენიმე დღეც და სოფელ მაწყვალთის წლობით უმოქმედო სარწყავი არხი ამოქმედდება. 4,6 კილომეტრი სიგრძის არხის ცალკეული მონაკვეთები შესაკეთებელი იყო. ა(ა)იპ „აჭარის აგროსერვისცენტრის“ ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, არხის 600-მეტრიან მონაკვეთზე მაღალი წნევის 150 მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილებს აწყობენ*

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე შუახევში სარწყავი არხების სამუშაოებით დაინტერესდა. მან მოადგილე არჩილ ბერიძესთან, „აგროსერვისცენტრის“ დირექტორ რაულ თავართქილაძესთან, მის მოადგილე ლერი ტუნაძესთან, შუახევის მუნიციპალიტეტის მერთან, საკრებულოს თავმჯდომარესა და სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად მაწყვალთის არხი მოინახულა. მათ განმარტებებს აძლევდა სამუშაოთა მწარმოებელი ომარ ნაკაიძე.

მარეთის ხეობიდან ზაზა შავაძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა ჭვანის ხეობაში გადაინაცვლეს, სადაც ცეკვა-ვარჯანაულის სარწყავ არხზე დასრულებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერეს. ეს საირიგაციო საშუალება ექსპლუატაციაში წინა საუკუნის 70-იან წლებში შევიდა. 20 კილომეტრზე მეტი სიგრძის არხი ქვეყნის მასშტაბით მეორეა, რომელიც მთლიანად დახურული იყო და დიდი წყალგამტარობის ლითონის მილებში მოედინებოდა. არხი გარკვეული ხარვეზებით აშენდა. მაშინ დაშვებულმა შეცდომებმა, შემდგომში მიუხედაობამ თანდათანობით თავისი გაიტანა. რიგ ფაქტორებს სტიქიაც დაერთო - ღიად გამოტარებული მილები მეწყერმა 40 მეტრზე მოგლიჯა და ხევში ჩაიტანა.

მოსახლეობამ, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მილების ამოტანა და არსებულ მილებზე მიერთება სცადეს, მაგრამ... ძველი მილების შეცვლა გახდა საჭირო, ახალი მილების გასატანად კი არხის სავალი ნაწილის გაყოლებაზე სამანქანე გზის გაკეთების გარეშე 630 მილიმეტრი დიამეტრის ლითონის მილების გატანა შეუძლებელი იქნებოდა.

ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ბიუჯეტიდან 100 ათას ლარზე მეტი გამოიყო 4300 მეტრზე სამანქანე გზის გასაყვანად და 42 მეტრზე ახალი მილების ჩასაწყობად. სამუშაოების შესრულება შპს „მიზანი 2020“-ის ხელმძღვანელობამ ითავა. აგვისტოს მეორე ნახევრიდან ფირმის წარმომადგენელი არჩილ გოგიტიძე, მექანიზატორი ავთანდილ ჩხიკვიშვილი, რამდენიმე ადგილობრივი სამუშაოებს შეუდგნენ. სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხელშეკრულებით ნაკისრ დროში დასრულდა.



ცეკვა-ვარჯანაულის სარწყავი არხი ჭვანის ხეობის 5 სოფელსა და რამდენიმე დასახლებულ უბანს ემსახურება. არხის სარეკონსტრუქციო სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობაც ჩაერთო.

- სარწყავი არხების მოვლა-შენახვას სამინისტროს ხელმძღვანელობა და მასზე დაქვემდებარებული სამსახურები, ამ ეტაპზე, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. აჭარის მთიანეთის რამდენიმე სხვა სოფელსა და დასახლებულ უბანშიც კიდევ მიმდინარეობს არხების რეკონსტრუქცია. პერიოდულად იქ მიმდინარე სამუშაოებსაც მოვინახულებთ, - გვითხრა მინისტრმა ზაზა შავაძემ.

# „პეგასის“ ფინალური ეტაპი – ხულოში

*ხულოს დრამატულ თეატრში ლიტერატურულ კონკურს „პეგასის“ ფინალური ეტაპი გაიმართა, რომელზეც გამოვლინდა „პეგასი 2023“-ის გამარჯვებული და დასახელდნენ სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო ნაშრომების ავტორები*



კონკურსის ფინალურ ეტაპში 11 ნომინანტი მონაწილეობდა. კონკურსანტებსა და სხვა დამსწრეთ მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ სურმანიძე, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერები როლანდ და ვახტანგ ბერიძეები, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე.

კომპეტენტურმა ჟიურიმ მთავარი პრიზის მფლობელი და ცალკეულ ნომინაციაში გამარჯვებულები გამოავლინა. მთავარი პრიზი ქედელ ჟანა ანანიძეს ერგო. „პეგასის“ აღმოჩენად ასევე ქედელი მადონა არძენაძე მიიჩნიეს. მან საინტერესო იგავი წარმოადგინა. ადრე გამოცხადებული 5 ნომინაციიდან ფინალურ ეტაპზე ნომინაცია „რომანტიკული“ ჩავარდა. „პატრიოტულ“, „დიალექტურ“, „კრეატიულ“ და „კლასიკურ“ ნომინაციებში გამარჯვებულად ნოდარ ძირკვაძის (ხულო), ბაჩი პაქსაძის (ხულო), ლინდა მუთიძის (შუახევი), ხატია აბაშიძის (ხელვაჩაური) ნაწარმოებები მიიჩნიეს.

კონკურსის ორგანიზატორების - იდეის ავტორ ნანა შაინიძისა და თანაავტორ რამაზ ხმალაძის, ასევე, ჟიურის წევრების გადაწყვეტილებით, ორი - „თავისუფალი“ ნომინაცია დაემატა. აქ გამარჯვებულები ქობულეთელი მარიამ გოგიტიძე და ქედელი მარი ტაკიძე გახდნენ.

ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“ პირველად 2019 წელს ჩატარდა ხულოში. ღონისძიების აქტიური მხარდამჭერია ხულოს მუნიციპალიტეტის მერია. პროექტის მხარდამჭერები არიან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; აჭარის მწერალთა სახლი; ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მერიები; შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“; მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ანზორ ბოლქვაძე; საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის თავმჯდომარე ოსმან ჩალიშქან მჟავანაძე; ბიზნესმენები ვაჟა დავითაძე და არკადი შაინიძე; არასამთავრობო ორგანიზაცია „მეხუთე სტიქია“.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

# რას ფიქრობენ პოლიტიკოსები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და პრეზიდენტის არშემდგარ იმპიჩმენტზე?

მე-3 გვერდიდან

**ნინო ცხვარაძე, ბათუმის საკრებულოს წევრი, მოძრაობა „ხალხის ძალა“:**

- პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი შემიძლია შევაფასო როგორც პოლიტიკური პროცესი, სადაც მმართველმა გუნდმა სამართლებრივადაც დადო შედეგი და საზოგადოებას აჩვენა, რომ ადამიანი, რომელიც უპირობო დამცველი უნდა იყოს ქვეყნის მთავარი, უზენაესი კანონის - კონსტიტუციის, საპირისპიროდ მოქმედებდა და კონსტიტუციას არღვევდა. მმართველმა გუნდმა იმთავითვე იცოდა, რომ იმპიჩმენტის პროცესი თუ საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლებდა, საჭირო ხმათა რაოდენობა არ იქნებოდა, თუმცა, პროცესი არ იყო ამაზე გათვლილი. დიახ, საზოგადოებამ დღეს უკვე იცის, რომ პრეზიდენტი პატივს არ სცემს კანონს, თუმცა ეს მას დისკომფორტს არ უქმნის. უფრო მეტიც, ის იმ ადამიანებსაც კი აყენებს შეურაცხყოფას, რომლებმაც თავის დროზე უდიდესი წვლილი შეიტანეს მის გაპრეზიდენტებაში. დღეს სალომე ზურაბიშვილს მხარდაჭერას უცხადებენ ის ძალები, რომლებიც მას რუსეთის რეზიდენტად მოიხსენიებდნენ. დღეს სალომე ზურაბიშვილი არა საქართველოს, არამედ „ნაცმოძრაობის“ პრეზიდენტია. მაგალითისთვის, თუნდაც ნიკა გვარამიას შეწყალებას მოვიყვან, რომელიც სიძულვილის ენით, ბილწსიტყვაობით გამოირჩევა და არც სალომე ზურაბიშვილის „შემკობა“ ენანებოდა. დიახ, სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალა პატარა კაცი, თუმცა ამის არ შერცხვა და პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას სწორედ იმ ადამიანებს მიაყენა შეურაცხყოფა, რომელთა წყალობითაც გახდა პრეზიდენტი. სწორედ მმართველ გუნდს გამოუცხადა 2018 წელს მოსახლეობამ ნდობა და არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გააკეთა. გრიგოლ ვაშაძეს რომ ვერ დაუჭირდნენ მხარს, ეს ცხადი იყო, თუმცა არც სალომე ზურაბიშვილზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე, მაგრამ, სწორედ იმ „პატარა“ კაცების ფაქტორი იყო დიდი, რაც დაივიწყა ქვეყნის პრეზიდენტმა. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოში წარმართულ პროცესს, ირაკლი კობახიძემ მასტერკლასები ჩაატარა. უსუსური და უარგუმენტო პასუხებით შემოიფარგლებოდნენ პრეზიდენტის დამცველები, რაც მოსამართლეთა გადაწყვეტილებაზეც აისახა. სალომე ზურაბიშვილი ორმაგი სტანდარტით ხელმძღვანელობს, თუმცა, ქართველი ხალხი ბრძენია და ყველაფერს შესაფერის სახელს არქმევს. ხელისუფლებამ, პრეზიდენტისგან განსხვავებით, ურთულესი გზა, შეიძლება ითქვას, ბეწვის ხიდზეც კი გაიარა და ქვეყანას ომი აარიდა. საქართველო, ხელს აძლევთ თუ არა დესტრუქციულ ძალებს, სწორედ, ამ ხელისუფლების პირობებში მიიღებს კანდიდატის სტატუსს და კიდევ ბევრის ლუსტრაცია მოხდება.

# „მე ის ვარ, რაც ვარ და... კმაყოფილი ვარ“

მე-5 გვერდიდან

**- სოციალურ ქსელში, ასევე პირად საუბრებში დაგიფიქსირებიათ, რომ ხშირად თქვენს მოსაზრებებს კრიტიკულად აღიქვამენ და ამის გამო გარკვეულ ბარიერებს აწყდებით...**

- სფეროს განვითარებისთვის, ქვეყნის განვითარებისთვის კრიტიკა საკმაოდ ძლიერი წამალია, მაგრამ ამათთვის კრიტიკა საკუთარი სკამების დაკარგვის შიშთან ასოცირდება, ამიტომაც გადმოდიან შეტევაზე საკმაოდ ბინძური ხერხებით, ადამიანების გაშავებით და ასე შემდეგ. დღეს ყველა კარია მოხურული, ისინი, ვგულისხმობ მთავრობას, არ არიან მზად კითხვებზე პასუხების გასაცემად, რადგან პასუხები არ აქვთ. ბათუმში ბევრ ხელოვანს გაუჩერეს პროექტები, მე რამდენიმე პროექტის დაფინანსება შემიწყვიტეს, საერთაშორისო ფესტივალების, რა თქმა უნდა, ჩემგან კრიტიკის გამო. სხვა მაგალითიც ბევრია. ყველა ფინანსური რესურსი თავის მეხოტბეებს მოახმარეს. ბიუჯეტი საკუთარი ჯიბე ჰგონიათ - ვისაც თვითონ ჩათვლიან საჭიროდ, იმას დააფინანსებენ. სინამდვილეში ეს ჩვენი ფულია, მათ შორის, ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის გადასახადებით გადახდილი ფული. სინამდვილეში, თავის დროზე, როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ, რომ მოესმინათ ჯანსაღი კრიტიკა, ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებდით ერთად (იგულისხმება საზოგადოება), მაგრამ მშიშრები აღმოჩნდნენ და სკამებისთვის დაიწყეს ბრძოლა.

**- რას ნიშნავს ბათუმი და ბათუმელობა თქვენთვის?**

- არაერთხელ მითქვამს, რომ ეს ქალაქი არის ადგილი, სადაც ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ თავს. ქალაქი მხოლოდ ქუჩები, სახლები, პარკი და ბულვარი არაა, მთავარი ადამიანები არიან, მოგონებებია, შეგრძნებაა, რომ შინ ხარ. მე ვერ შევძლებდი ჩემი პროექტების განხორციელებას, რომ არა ეს ქალაქი, რომ არა ის ადამიანები, რომლებიც გვერდით მედგნენ და სჯეროდათ ჩემი. ფესტივალებისთვის ყოველთვის ძალიან მცირე თანხები მქონდა, ბევრი რამ ენთუზიაზმით კეთდებოდა, ეს ადამიანები და მათი დახმარება რომ არა, ვერაფერს შევძლებდი. ამ პატარა ქალაქში ყველა ერთმანეთს იცნობს და საერთო საქმისთვის ადვილია თანამოაზრეების გაჩენა.

**- რას მიიჩნევთ თქვენს მთავარ როლად ცხოვრებაში?**

- მთავარი როლი ის არის, რომ ვარ მამა ორი ულამაზესი გოგონასი, რომლებიც არიან ჩემი ცხოვრების ყველაზე მთავარი ადამიანები. მშვენიერი და მათზე გენიალური არაფერი შემიქმნია. ძალიან ვამაყობ ჩემი შვილებით.

**- როგორი მამა ხართ, როგორ ატარებთ დროს შვილებთან?**

- მეგობრული. ვცდილობ, მათთან ბოლომდე გულწრფელი ვიყო, ვესაუბრები ჩემს პრობლემებზე, საქმეებზე, წინააღმდეგობებზე, აქციებზე ერთად ვდგავართ, გვაქვს ღია და გულწრფელი საუბრები. ძალიან გამიმართლა და ბედნიერი მამა ვარ. სამწუხაროდ, ჩემი საქმეებიდან გამომდინარე, ბევრ დროს ვერ ვატარებ შვილებთან, მაგრამ ვმუშაობ საკუთარ თავზე, რომ მეტად გადავერთო მათზე.

**- ახალგაზრდების ხმა დღეს...**

- საოცარი ახალგაზრდები მოდიან. მათ იციან, რა უნდათ, როგორ უნდათ და საით უნდათ. თავისუფლებაში დაიბადნენ და გაიზარდნენ. დღეს ჩემი თაობა უნდა დადუმდეს, მათ უნდა მოვუსმინოთ. გაცილებით უკეთ და პროგრესულად აზროვნებენ გულანთებულები. ბოლო მოვლენებმა აჩვენა, რომ მათი ხმა ყველაზე ხმამაღალი და ყველაზე მართალია. მალე ისინი გააკეთებენ არჩევანს პროგრესსა და რეგრესს შორის და ღმერთი არავის უნდა გაუწყრეს, წინ არ გადაუდგეს მათ, პირიქით, უფროსი თაობა უნდა გაერთიანდეს და მათ ზურგი გაუმაგროს. ჩვენი მომავალი საიმედო ხელშია და მე ეს მამშვიდებს.

**- მინდა, გკითხოთ ქართულ დრამატურგიაზე. ამ კუთხით რამდენად გაქვთ მრავალფეროვანი არჩევანი რეჟისორებს?**

- ქართული დრამატურგია დიდი ხანია პრობლემას წარმოადგენს. დღემდე არ არსებობს მისი სტრატეგია, არ არის ფაკულტეტები. არავინ ასწავლის და არც სახელმწიფო ზრუნავს მის განვითარებაზე. ამ სფეროს წახალისება სჭირდება. მონოდრამის ფესტივალის მიზანი, სწორედ, დრამატურგიის განვითარება იყო. 9 წლის განმავლობაში არაერთი დრამატურგი აღმოვაჩინეთ და გავაცანით საზოგადოებას. ათობით ახალი პიესა იქმნებოდა ყოველწლიურად. ეს სისტემური საკითხია, აქ ერთდროულად უნდა ჩაერთოს სახელმწიფო, თეატრი და კერძო სექტორი. საჭიროა სტრატეგიის შექმნა და წლების მიხედვით, ნაბიჯნაბიჯ სიარული. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ქართული დრამატურგიის გარეშე ვერ განვითარდება ქართული თეატრი. ბუნებრივია, სანამ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები არ გატარდება, მანამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული დრამატურგია ვერ ვითარდება.

**- ბათუმური ემოცია, რომელიც სულ თან გდევთ...**

- სიმყუდროვე.

**- ჰობი, ინტერესი...**

- ადრე ძველი ტექნოლოგიით წიგნებს ვკინძავდი, დაზგაც კი მქონდა გაკეთებული და ეს საქმიანობა ძალიან მომწონდა. მოუცლელობის გამო შევეშვი, ახლა ცოტა დრო გამომითავისუფლდა და, ალბათ, ისევ დავიწყებ.

**- რა პროფესიულ სიახლეებს უნდა ველოდოთ თქვენგან უახლოეს მომავალში?**

- ამჟამად ოპერის „ჯადოსნური ფლეიტა“ დადგმაზე ვმუშაობ და ნოემბრის ბოლოს მუსიკალურ თეატრში გვექნება პრემიერა. შემდეგ თბილისში მივემგზავრები ახმეტელის თეატრში ახალ სპექტაკლზე სამუშაოდ. წელსვე დაგეგმილი მაქვს კიევში საკუთარი პიესის დადგმა. შესაძლებელია, წელს პირველად დავდგა ბათუმის დრამატულ თეატრში სპექტაკლი.

**- ყველაზე დიდი პროტესტი...**

- ესაა პროტესტი საკუთარ თავთან. პროტესტი კრიტიკა ან ეჭვი არ არის, პროტესტი კონკრეტული შეცდომების გამო ხდება. ხშირად ვიჭერ საკუთარ თავს შეცდომებში და ხშირადაც ვუპროტესტებ-ხოლმე.

**- ის, რაც ყველაზე მეტად გენატრებათ ბავშვობიდან...**

- სილაღე, სიმშვიდე, თავგადასავლები, ამბიციები, არარეალური ოცნებები (რეალური ოცნებები ავიხდინე), სამყაროს შეცნობის ცხოველური ჟინი... მოკლედ, ბევრი ის თვისება, რომლებიც ცხოვრების ამ ეტაპზე ცოტათი გაფერმკრთალდა... მაგრამ მე ვიცი ხოლმე ყველაფრის განულება და მოულოდნელად ახალი ცხოვრების დაწყება, რაც მიღვიძებს გაფერმკრთალებულ გრძნობებს და ახალი ენერგიით ვივსები, თითქოს თავიდან ვიბადები.

**- მუსიკის როლი...**

- მუსიკა ერთადერთია ხელოვნებაში, რომელიც მხოლოდ ყურით აღიქმება და ვერაფრით ვერ ვხსნი, კონკრეტულად, რა ჯადოქრობით ამიშლის ხოლმე ვნებებსა და ემოციებს. მიმაჩნია, რომ მუსიკა ენაა, რომლის მეშვეობით ყველას შეგიძლია ელაპარაკო, უცხოპლანეტელებსაც კი.

**- რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გსურთ?**

- ცვლილებები! მსურს ჩემი ქვეყანა იყოს ისეთი, სადაც ადამიანები ერთმანეთს პატივს სცემენ, სადაც განათლება უპირველესია, სადაც ოკუპირებული ტერიტორიები დაბრუნებულია, სადაც ადამიანები ყველაზე დაცულად გრძნობენ თავს, სადაც გაჭირვება აღარ არსებობს, არადა, ეს შესაძლებელია. ჩვენ არც ისე ბევრნი ვართ, პატარა ქვეყანა გვაქვს. უბრალოდ, უნდა შევძლოთ, უნდა გადავრჩეთ!


## განცხადება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

**აცხადებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით (მიკროავტობუსები) ნებართვის მაძიებელთა**

# კონკურსს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსში შემდეგ სამარშრუტო ხაზებზე: №№23, 24, 25, 28, 31, 32, 33, 34, 36, 39, 40, 44, 45, 46, 49 და 56 მონაწილეთა განცხადებების მიღება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად იწარმოებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში, 2023 წლის 26 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით, დილის 10:00 სთ-დან საღამოს 17:00 სთ-მდე, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით, M2 კატეგორიის (მიკროავტობუსის) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასება მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ჟ. შარტავას ქ. №13 (აჭარა-ბეთ არენას მიმდებარე ტერიტორია) 2023 წლის 6 ნოემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით, დილის 10:00 სთ-დან საღამოს 15:00 სთ-მდე. აღნიშნული პერიოდის შუალედში კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებელ პირებს დამატებით - ზუსტად ეცნობებათ მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასების დროის განრიგი სამარშრუტო ხაზების მიხედვით.

კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge



**გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.**



**მთავარი რედაქტორი** მარინა მითაიშვილი

**გამომშვები რედაქტორი** ირმა შერვაშიძე

**ლიტერატურული რედაქტორი** ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**გამომცემელი** - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

**პოლიგრაფიული მომსახურება** - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

**მისამართი:** 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/10/23, 18[30] სთ.

**დირექტორი** მამუკა ბერიძე

# „შემოდგომის სერენადა“ – ლიტერატურული ფესტივალის წარმატებული დებიუტი ბათუმში

*„ბათუმს ყველაზე მეტად უხდება ფესტივალები, რადგან ის არის სითბოს და სიყვარულის ქალაქი, სადაც უყვართ ლიტერატურა, სადაც ცხოვრობენ ძალიან ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც ქართულ მწერლობას ალამაზებენ თავიანთი საინტერესო და სიღრმისეული შემოქმედებით“, - აღნიშნული სიტყვები ეძღვნება ჩვენს ქალაქში დაბადებულ კიდევ ერთ ფესტივალს, რომლის წარდგინებაც საზოგადოებისთვის 12 ოქტომბერს გაიმართა*



„შემოდგომის სერენადა“ მიზნად ისახავს ლიტერატურის პოპულარიზაციას, მწერლებისა და პოეტების კიდევ უფრო დაახლოებას ერთმანეთთან, ახალგაზრდებისათვის იმის ჩვენებას, რომ ლიტერატურას, ზოგადად, ხელოვნებასა და კულტურას უდიდესი როლი აქვს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში. ფესტივალი სამ დღეს გაგრძელდა, რომლის ფარგლებშიც არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა გაიმართა. ლიტერატურული ფესტივალის გახსნის დღეს, რომელიც აჭარის მწერალთა სახლში გაიმართა, ორგანიზატორმა როინ აბუსელიძემ მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, რომელთა წვლილი უმნიშვნელოვანესია ძალიან კარგი და ქალაქისთვის საინტერესო საქმის წამოწყებაში.

- ბათუმის ლიტერატურულ ფესტივალს „შემოდგომის სერენადა“ წელს დებიუტი აქვს. ეს არის ბათუმელი ავტორებისა და მწერალთა სახლის იდეა, რომელსაც მხარში უდგას, ამ შემთხვევაში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ. წელს ფესტივალში საქართველოში მოღვაწე ქართველი მწერლები და პოეტები მონაწილეობენ, თუმცა სამომავლოდ ვგეგმავთ, „შემოდგომის სერენადა“ საერთაშორისო ფესტივალად იქცეს. წინ ძალიან ვრცელი და მნიშვნელოვანი გეგმები გვაქვს. მჯერა, ყველა ჩანაფიქრი, რომელიც აღნიშნულ ფესტივალს უკავშირდება და დაუკავშირდება მომავალში, წარმატებით განხორციელდება. გვინდა, ამ კუთხეში ლიტერატურის განვითარებას უფრო მეტად შევუწყოთ ხელი. ერთმანეთს გავაცნოთ ის ავტორები, რომლებიც ხშირად ჩვენთვის მხოლოდ სოციალური ქსელებით და ლიტერატურული პორტალებით არიან ცნობილები. გვინდა, პოეტებსა და მწერლებს შორის ერთგვარი მეგობრობის ხიდი მოვაპირკეთოთ იმ დონეზე, რომ შემდგომში გვქონდეს უკვე საზღვრებს გარეთ გასვლის მარტივი საშუალება. კიდევ ერთხელ მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისაც უყვარს ლიტერატურა და ვინც ამ მხრივ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას უწყობს ხელს, - აღნიშნა როინ აბუსელიძემ.

ფესტივალის სტუმრებმა, მონაწილეებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილს, რომლის ინიციატივაც იყო აღნიშნული ფესტივალის შექმნა ბათუმში. თავის მხრივ, მინისტრმა ფესტივალის ორგანიზატორებს კიდევ ერთხელ გამოუცხადა მხარდაჭერა და აღნიშნა, რომ სამინისტრო ყოველთვის მზად არის, მხარი დაუჭიროს ყველა იმ პროექტს, რომელიც ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა თუ კულტურის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

- გილოცავთ ახალი ფესტივალის დაფუძნებას ქალაქში, რომელსაც ამ მხრივ ნაკლებობა ნამდვილად არ აქვს, მაგრამ შეუძლებელი იყო მათ რიგში არ ყოფილიყო ასეთი ლამაზი ფესტივალი, რომელიც ეძღვნება ჩვენს ძალიან საყვარელ ადამიანებს, ჩვენს მწერლებს, პოეტებს. დიდი ხანია ამ პროექტის იდეა არსებობს და მოხარული ვარ, რომ ინიციატივა აღმოჩნდა იმ ადამიანების ხელში, ამ შემთხვევაში გამოვყოფ როინ აბუსელიძეს და ქალბატონ ლალი კონცელიძეს, რომლებმაც ბატონ დავით თედორაძის მხარდაჭერით ძალიან მოკლე დროში დიდი შრომა გასწიეს ფესტივალის ასე ლამაზად განხორციელებისთვის. მჯერა, „შემოდგომის სერენადა“ ჰპოვებს უფრო მეტ განვითარებას მომავალში. სამინისტრო, აჭარის მთავრობა გიცხადებთ მხარდაჭერას, რომ ფესტივალი გაისად გახდეს საერთაშორისო, იყოს უფრო ფართომასშტაბიანი, - თქვა მაია ხაჯიშვილმა.

ფესტივალთან დაკავშირებით თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა.

- ქართველებისთვის მთავარი, მიუხედავად არაერთი დიდი წარმატებისა, ყოველთვის მაინც პოეზია იყო, ამით გამოირჩევა დედამიწაზე დღესაც და მსგავსი ფესტივალების დაფუძნებაც არის იმის ნიშანი, რომ მეხსიერება არ გაუწყდა ერს. დღეს აჭარა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ლიტერატურული კუთხეა, ხოლო ბათუმი - ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულად ნიჭიერი ხალხის ქალაქი. შემთხვევითი არ არის, რომ ყოველწლიურად, როცა ესა თუ ის კონკურსი ტარდებოდა, შეიძლება ითქვას, 10 გამარჯვებულიდან ლამის 7 ბათუმელი იყო, - გვითხრა მაყვალა გონაშვილმა.

ფესტივალზე საზოგადოებას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჩვენებურები“ წარუდგინა მწერალმა ნიაზ ზოსიძემ, რომელიც წლებია, თურქეთის სხვადასხვა სოფელში მცხოვრებ ქართველებს სტუმრობს და მათ სევდასა თუ სიხარულზე განსაკუთრებული ემოციებით გვიყვება.

- თემა, რომელზეც ვისაუბრე, ფერეიდანს ეხება. ფერეიდანი არის ჩვენი სიხარული, სიამაყე, სევდა, ტკივილი, რაზეც, სამწუხაროდ, ბევრი არ დაწერილა. ფერეიდნის თემა მკითხველს, ქართულ საზოგადოებას ძალიან აინტერესებს, სულ მეკითხებიან წიგნზე, რომელიც ფერეიდანს და იქ მცხოვრებ ქართველებს მივუძღვენი. მსგავსი შეხვედრები, პრეზენტაციები მნიშვნელოვანია ფერეიდნელებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ იქ აკრძალულია სოციალური ქსელები, მაინც ახერხებენ ამ ყველაფრის ნახვასა და მოსმენას. აქ ნათქვამი ყოველი სიტყვა მათთვის ერთგვარი მალამოა. დღეს ასევე ვისაუბრე ჩვენებურებზე, თურქეთის მუჰაჯირთა შთამომავლებზე. 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 130 სოფელი მოვიარე და მათ დარდზე, სატკივარზე, იდენტობაზე, თვითმყოფადობაზე კიდევ უფრო მეტი გავაგებინე საზოგადოებას. მათ მეტი სითბო და სიყვარული უნდა გავუგზავნოთ საქართველოდან, - აღნიშნა ნიაზ ზოსიძემ და ლიტერატურულ ფესტივალს „შემოდგომის სერენადა“ წარმატებები უსურვა მომავალში.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა პროფესორ შორენა მახაჭაძის ლექცია „აჭარაში მოღვაწე მწერლები“, სადაც მან ჩვეული ოსტატობით, კიდევ უფრო ახლოდან გაგვაცნო მწერლები, პოეტები, რომლებსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ქართული მწერლობის გამრავალფეროვნებასა და განვითარებაში. „შემოდგომის სერენადას“ ფარგლებში ფესტივალის მეორე დღეს მწერლები და პოეტები ბათუმის №№1, 2 საჯარო, ასევე კერძო სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასისა“ და ელიტურ სკოლა „გორდას“ მოსწავლეებს შეხვდნენ, სადაც სტუმრებსა და მასპინძლებს შორის უშუალო, გულითადი საუბრები შედგა.

ფესტივალში მონაწილეებმა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ეზოში დაკრძალული მწერლების საფლავები ყვავილებით შეამკეს, შემდეგ კი სოფელ ხალაში, ზურაბ გოგრგილაძის სახლ-მუზეუმში გაემგზავრნენ, სადაც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოლოგიის დოქტორმა, ლიტერატურათმცოდნე, ფესტივალში მონაწილე პოეტმა გიორგი ხორბალაძემ საჯარო ლექცია შესთავაზა შეკრებილებს, რომელიც ზურაბ გორგილაძის შემოქმედებას მიეძღვნა. იქვე გაიმართა პოეზიის საღამო, სადაც სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს ლექსების თქმაში ენაცვლებოდნენ.

ფესტივალის ბოლო დღეს მწერლებმა გონიოს ციხე მოინახულეს, სადაც საარქივო ვიდეომასალები ჩაწერეს. იყვნენ ხარიტონ ახვლედიანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, შემდეგ კი ზღვაში გემით გაისეირნეს, საიდანაც საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა ე. წ. ლაივის საშუალებით მოესმინა მათი საყვარელი პოეტების მიერ წაკითხული ლექსები.

„შემოდგომის სერენადამ“ დაუვიწყარი სამი დღე აჩუქა ლიტერატურის მოყვარულებს და მომავალი წლისთვის მათ ისევ ბათუმში დაუთქვა „პაემანი“.

# გამოფენა, რომელმაც მისტიკურ სამყაროში გვამოგზაურა

*ხელოვნების მუზეუმის გალერეა მხატვარ ДИМИТРИ*





- ნამუშევრები, რომლებიც ბათუმის ხელოვნების მუზეუმის გალერეაში წარმოვადგინე, ფიგურატიული კომპოზიციებია და, ძირითადად, ბოლო ორ წელიწადში შევასრულე. მხატვრისთვის ძალიან რთულია თავის შემოქმედებაზე საუბარი. ეს რომ კარგად შეგვეძლოს, მაშინ ხელოვნებათმცოდნეებს, კრიტიკოსებს წავართმევდით პროფესიას. ვერიდები ილუსტრაციის ენას მხატვრობაში. მგონია, რომ ეს ხელოვნება თავისი არსით დაკავშირებულია რაღაც ღრმა და უფრო ძირეულ საკითხებთან, რომელთა სააშკარაოზე გამოტანასაც ესა თუ ის ხელოვანი თავისი გულწრფელობითა და ხელობით ცდილობს. ინსპირაცია ჩემთვის თავად ცხოვრება და მასში ჩატეული ემოციებია. შეიძლება სულ პატარა დეტალმა მოგცეს ამა თუ იმ თემატიკაში „მოგზაურობის“, ღრმად ჩასვლის შესაძლებლობა და შენც მიიღო ეს, შემდეგ კი შენეული ფიქრით გადმოსცე სათქმელი. როგორც მუსიკოსისთვის - ბგერა, მწერლისთვის - სიტყვა, იგივეა მხატვრისთვის ფერი და, რასაკვირველია, ყველას აქვს თავისი უნიკალური დამოკიდებულება მასთან. ხანდახან ეს ფერები იცვლება და პრიორიტეტი ეძლევა არა კონკრეტულად რომელიმე მათგანს, არამედ ფერთა გამას. მინდა მადლობა გადავუხადო ხელოვნების მუზეუმს, მათ ხელმძღვანელებს. დიდი პატივია, ბათუმს და ბათუმელებს წარვუდგინო ჩემი შემოქმედება. ძალიან მიყვარს ქალაქი, სადაც არაერთი მეგობარი მყავს და სულ მიხარია აქ ჩამოსვლა. ყოველი გამოფენა ზეიმია მხატვრისთვის, მით უმეტეს, თუ ეს იმ გარემოში ხდება, რომელიც გიყვარს და გეძვირფასება. თუ გამოფენის დამთვალიერებელში სიმპათიებს დავიმსახურებ, ბედნიერი ვიქნები. მართლა უნდა იამაყოს ბათუმმა თავისი ტრადიციებით, საოცარი კულტურით, უნიკალურობით. ძალიან მომწონს ის სილაღე, რაც ამ ქალაქს აქვს და ზღვა, რომელიც სულ სხვა ელფერს აძლევს აქაურობას. კიდევ ერთხელ მადლობა, რომ მომეცა შესაძლებლობა, ჩემი შემოქმედებიდან პატარა ნაწილი გავუზიარო ბათუმელებს, - გვითხრა დიმიტრი ანთაძემ.

მხატვრის შემოქმედების შესახებ გვესაუბრა ხელოვნების მუზეუმის მთავარი კურატორი ლევან წულუკიძე.

- ჩვენი მუზეუმი აგრძელებს გამოფენების სერიებს და დღეს უკვე წარმოდგენილია ისეთი ცნობილი მხატვრის ნამუშევრები, როგორიც გახლავთ ბატონი დიმიტრი ანთაძე. იგი წლებია, წარმატებულად მუშაობს. ის ერთ-ერთი მხატვარია, ვინც მიაგნო თავის ენას მხატვრობაში. მისი შემოქმედება მოიცავს მხატვრულ თემებს, მითებს, ისტორიებს, რომლებსაც ახლავს საოცარი სიმშვიდე, სიბრძნე, მისტიკურობა, ისე, როგორც მითოლოგიაში მითებს. ჩვენ მისი ნახატებიდან გადავდივართ მისტიკურ, პოეტურ სამყაროში და მნახველს სჭირდება გარკვეული დრო და ხედვა, რათა შევიდეს ნახატის სიღრმეებში და გახდეს მისი მონაწილე. მისასალმებელია, ჩვენს ქალაქში ასეთი კარგი ღონისძიებები რომ იმართება. ვფიქრობ, კიდევ ბევრი საინტერესო გამოფენა გველის წინ. ბატონ დიმიტრის ვუსურვებ წარმატებებს, ის ჩემი მეგობარია, ჩემი მოწვევით ჩამოვიდა და მომავალში შესაძლებელია, მუზეუმმა კვლავ უმასპინძლოს მის შემოქმედებას, - გვითხრა ლევან წულუკიძემ.

საინტერესო გამოფენისთვის მხატვარს მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგო დოლიძემ.

- ბატონი დიმიტრი, მართლაც, განსაკუთრებული პიროვნება და მხატვარია. ხელოვანი 1989 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ჯგუფურ გამოფენებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გამართა არაერთი პერსონალური გამოფენა. აღსანიშნავია, რომ მის შემოქმედებაში იგრძნობა იაპონურ კულტურასთან სიახლოვე. მოხარულები ვართ, შესაძლებლობისთვის ვუმასპინძლოთ ამ მართლაც მრავალფეროვან გამოფენას, ბათუმელებს და ამ ქალაქის ვიზიტიორებს გავუფერადოთ რამდენიმე დღე. მუზეუმი აგრძელებს თანაქალაქელების განებივრებას. აქ, ასევე, გამოფენილია ბექა ბოლქვაძის სკულპტურები და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არ არის - აქტიურად ვმუშაობთ საგანმანათლებლო მიმართულებით, კიდევ უამრავ სიურპრიზს ვუმზადებთ საზოგადოებას, - აღნიშნა თენგო დოლიძემ.

დიმიტრი ანთაძის პერსონალური გამოფენა 18 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება.

**გვერდი მოამზადა**
**ნანა აბულაძემ**